

# BP საქართველო

**2005 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში**

**BP ჯგუფი**

BP p.l.c. წარმოადგენს BP ჯგუფის, მსოფლიოში ნავთობისა და გაზის კომპანიების ერთ-ერთი უდიდესი ჯგუფის, დამფუძნებელ კომპანიას. კომპანიათა ეს ჯგუფი ყოველდღიურად ემსახურება დაახლოებით 13 მილიონ მომხმარებელს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. BP ჯგუფი აწვდის გაზის, ნავთობისა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის სხვა წყაროებიდან წარმოებულ საწვავს ტრანსპორტირების, ელექტროენერგიის, გათბობისა და განათების, ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და პროდუქტებისათვის.

2005 წელს BP ჯგუფი დღეში ოთხი მილიონი ბარელის ექვივალენტ ნავთობსა და გაზს აწვდიდა მომხმარებელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. 2005 წელს BP ჯგუფის კაპიტალური ხარჯების მოცულობამ 13,9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ეს ის ინვესტიციაა, რომელიც შემდგომი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უზრუნველყოფს ნავთობისა და გაზის მდგრადი მარაგების შექმნას და მიწოდებას. 2005 წელი იყო მეცამეტე წელიწადი ზედიზედ, როცა BP ჯგუფმა (ფილიალებისა და საკუთარი აქციებით პასუხისმგებელი საწარმოების ჩათვლით) არსებული წარმოების 100%-ზე მეტით ჩანაცვლება მოახერხა, რაც გაერთიანებული სამეფოს SORP-ის საფუძველზე განხორციელდა.[1] 2005 წელს BP-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ალტერნატიული ენერგიის პროგრამის წამოწყებით, რომლის მიზანია, მომხმარებელს შესთავაზოს ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის უფრო ფართო არჩევანი, როგორიცაა მზის ენერგია, ქარი, კომბინირებული ციკლის მქონე გაზის ტურბინები და ნახშირბადის სეკვესტრირების ახალი ტექნოლოგიები.

**წინამდებარე ანგარიში: მიმოხილვის სფერო და პროცესი**

BP-ისათვის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობა ნიშნავს მისი, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას უკეთესი პროდუქცია და განახორციელოს უკეთესი მომსახურება საზოგადოების მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აქციონერებს მისცეს სარგებელი, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს როგორც საკუთარ მომხმარებელთა, ასევე საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა.

წინამდებარე ანგარიში ჩვენ მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის შესახებ შედგენილ იქნა "BP საქართველოს 2004 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშის" გათვალისწინებით, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 2005 წელს. წლევანდელ ანგარიშში უფრო დეტალურადაა ასახული 2005 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა. ანგარიშის მონაცემები ასახავს კომპანიის მიერ მთლიანად ქვეყანაში განხორციელებულ საქმიანობას, ხოლო თუკი ამგვარად იქნა მითითებული – ცალკეულ პროექტებსა და ოპერაციებს. ანგარიში შეადგინა კომპანიის საქართველოს ოფისმა, რომელიც მდებარეობს თბილისში. ანგარიშში აღწერილია და რიგ შემთხვევაში რეგიონულ ჭრილშია განხილული საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობა. მისი შედგენისას, საფუძვლიანი ანალიზითა და ფორმალური პროცესის გავლით, დავადგინეთ, თუ რომელი საკითხები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი შიდა და გარე მხარეებისათვის. ყოველივე ეს განხორციელდა იმ მიზნით, რომ ანგარიშში ასახულიყო ჩვენი საქმიანობის ყოვლისმომცველი და ობიექტური შეფასება.

წინამდებარე ანგარიში, რომელიც დამოუკიდებლად შემოწმდა, წარმოადგენს ერთ-ერთ მექანიზმს ჯგუფის მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ჯგუფის საქმიანობაზე ხორციელდება სხვადასხვა დონის მონიტორინგი. კომპანიის საქმიანობას და მის წინაშე მდგარ ამოცანებს საფუძვლიანად ამოწმებენ დამოუკიდებელი გარე აუდიტორები და შესაბამისი ორგანოები. კრედიტორები და პარტნიორები ჩვენგან ითხოვენ რეგულარულ ანგარიშგებას. ადგილობივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიც გულდასმით სწავლობენ კომპანიის საქმიანობას. ჩვენს საქმიანობაში უსაფრთხოებისა და სხვა ვალდებულებების დაცვით, პასუხისმგებელნი ვართ ადგილობრივი საზოგადოების წინაშე. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ანგარიში არამარტო აღწერს ჩვენს საქმიანობას, არამედ ხელს შეუწყობს კონსტრუქციულ დიალოგს ქვეყანაში ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ მხარესთან.

[1] რეკომენდებული პრაქტიკის განაცხადი.


**1 BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი**
**2 რას ნიშნავს ჩვენთვის პასუხისმგებლობა: კორპორატიული პასუხისმგებლობის მოდელი**
**3 2005 წლის შედეგები**
**4 საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**
5 BP თვალის შევლებით
7 ჩვენი კომერციული საქმიანობა
9 ჩვენი ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
10 დიალოგი და თანამშრომლობა
15 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
20 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
21 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
24 დაცვა და ადამიანის უფლებები
26 ჩვენი თანამშრომლები
**28 ჩვენი როლი საზოგადოებაში**
29 სოციალური ჭრილი
30 კლიმატური ცვლილებები
31 ეფექტური მართვის ხელშეწყობა
32 ბიზნესის განვითარება
33 განათლება
34 ხელმისაწვდომი ენერგია
35 ჩვენი პროგრამები
**38 შესრულების მაჩვენებლები**
**39 დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება**
**40 ტერმინთა განმარტება**


წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის "BP"-ის და "BP ჯგუფის" მოხსენების დროს იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთიანად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ნაცვალსახელებით "ჩვენ" და "ჩვენი" აღინიშნება BP ჯგუფის ის კომპანიები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ, თუკი სხვაგვარად არ იქნა განმარტებული.

**განცხადება BP ჯგუფის აუდიტორის, Earnst & Young-ისაგან**

ჩვენ შევისწავლეთ "BP საქართველოს 2005 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში," რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვემოწმებინა, რომ BP საქართველოს მიერ მდგრადი განვითარებისათვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები, განცხადებები და მტკიცებულებები სათანადოდაა დასაბუთებული ფაქტებითა თუ ახსნა-განმარტებებით. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს ჩარჩოები და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 39-ე გვერდზეა მოყვანილი.


წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება მოცემულია 40-ე გვერდზე.



თავფურცელი: საქართველოში BTC მილსადენის ზემოთ ამოსული მცენარეულობა და მობალახე ნახირი.

# BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი

2006 წელს BP საქართველოში მოღვაწეობის 10 წელს აღნიშნავს. ჩვენ ამჟამად რეგიონში გაზისა და ნავთობის საბადოების განვითარების ძირითადი ფაზის დასრულების და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის საექსპორტო მილსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) ექსპლოატაციაში გაშვების უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ვიმყოფებით.

BTC ნავთობის კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია, რომლის მშენებლობის მთლიანმა ხარჯმა 4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. მოცემული მარშრუტი ეკონომიკურად მომგებიანია და არსებულ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობასთან შედარებით ნავთობის დიდ მანძილზე უფრო უსაფრთხო ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ახალი მარშრუტი შეამცირებს ნავთობის დიდი რაოდენობით ტრანსპორტირებას ბოსფორის სრუტის გავლით.

SCP მილსადენი, რომლითაც გათვალისწინებულია გაზის ექსპორტირება შაჰ დენიზის საბადოდან აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ბაზრებზე, საქართველოს ტერიტორიაზე BTC მილსადენის პარალელურად გადის. SCP მილსადენით მიწოდებული გაზი საქართველოს ენერგომატარებლების დივერსიფიკაციისა და მომავალი ენერგოუსაფრთხოების საწინდარია.

დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელიც ასევე ცნობილია ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით, ჩვენ მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში და იგი 1999 წლიდან მოყოლებული წარმატებით და უსაფრთხოდ ფუნქციონირებს. ამ მარშრუტს საქართველოს მთავრობისათვის სატრანზიტო გადასახადების სახით მნიშვნელოვანი შემოსავლები მოაქვს.

აღნიშნული ადასტურებს, რომ სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა ახალი მძლავრი ენერგოდერეფანი, რომელიც მომავალში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ადგილობრივი და მსოფლიო ენერგოუსაფრთხოების საქმეში. ჩვენ და ჩვენი პარტნიორები ვამაყობთ ამ მიღწევით.

იმისათვის, რომ ზემოხსენებული წარმატებებისთვის მიგვეღწია, საჭირო გახდა მთელი რიგი სირთულეების გადაჭრა. მათ შორის იყო ინტენსიური ყურადღება საინფორმაციო საშუალებებისა და საზოგადოების მხრიდან, პოლიტიკური გაურკვევლობა, მძიმე კლიმატური პირობები და რთული რელიეფი, რასაც თან ერთვოდა მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის პრობლემები. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ასეთი პრობლემების დარეგულირება წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაწილს იმისა, რასაც ჩვენ საქმიანობაზე პასუხისმგებლობას ვეძახით. ამ პრობლემების წარმატებით გადაჭრამ პროექტები რეალობად აქცია.

მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად დღესაც რჩება ჩვენი საქმიანობის ისეთი გზით განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ჭეშმარიტად მდგრად, სტაბილურ განვითარებას. როგორც მოცემულ ანგარიშშია განმარტებული და ილუსტრირებული, საქმიანობის სტაბილურობის მიღწევა არის რთული და გრძელვადიანი ამოცანა, რომელიც მოიცავს აქტივების განახლებას და ისეთი პროდუქტისა და მომსახურების მიწოდებას, რომელიც უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნებს, აგრეთვე, თანამშრომელთა ახალი თაობების მოზიდვას. აქ ასევე იგულისხმება გარემოს დაცვა და ჩვენი მომხმარებლების, აქციონერებისა და საზოგადოების ნდობისა და მხარდაჭერის შენარჩუნება.

წინამდებარე ანგარიში ადასტურებს ჩვენს ინტერესს მდგრადი განვითარების მიმართ. მასში ასახულია ჩვენი საქმიანობის 2005 წლის მაჩვენებლები და აღწერილია მთელი რიგი პროგრამებისა, რომლებიც ორიენტირებულია შემდგომი წლების განმავლობაში საქმიანობის პასუხისმგებლობით წარმართვაზე და საერთო სასარგებლო შედეგზე. ჩვენ ვამაყობთ იმ მიღწევებით, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს მიღწევები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმას, რომ საქართველოში შესაძლებელია სტრატეგიული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული პროექტების წარმატებით განხორციელება; საქართველოს ტრანსპორტის, სოციალური და მომსახურების ინფრასტრუქტურა საკმარისად განვითარებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს გლობალური პროექტების განხორციელებას. ჩვენ მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩავდეთ არა მარტო ქვეყანაში, არამედ ჩვენს ურთიერთობაში ადგილობრივ საზოგადოებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთავრობასთან. ეს ინვესტიცია და საერთო სარგებელი წარმოადგენს ჩვენი წარმატების გასაღებს და ასე იქნება მომავალშიც. ჩვენ კვლავაც ვაპირებთ გავაგრძელოთ ისეთი საქმიანობა, რომელშიც პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს განუყოფელი ნაწილი იქნება.

მოხარულნი ვიქნებით, მივიღოთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები წინამდებარე ანგარიშში ასახულ საქმიანობასა და გეგმებთან დაკავშირებით.

**ჰიუ ჯ. მაკდაუელი**
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
აგვისტო, 2006 წელი

# რას ნიშნავს ჩვენთვის პასუხისმგებლობა: კორპორატიული პასუხისმგებლობის მოდელი

**ანგარიში ასახავს მოდელს, რომელსაც ვიყენებთ იმის აღსაწერად, თუ რას ნიშნავს BP-ისათვის პასუხისმგებლობა და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი ჩვენი საქმიანობის გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამ მოდელის ბირთვია ყველა ის საქმიანობა, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ. ჩვენ ანგარიშვალდებულნი ვართ ამ საქმიანობაზე და სათანადო პასუხისმგებლობით უნდა განვახორციელოთ იგი. მხოლოდ სრული პასუხისმგებლობით საქმიანობისას შევძლებთ, ვაღიაროთ ის სოციალური სარგებელი, რომელიც მიიღწევა ჩვენ მიერ პროდუქტისა და მომსახურების, საგადასახადო შემოსავლების, სამუშაო ადგილების უზრუნველყოფისა და აქციონერთა შემოსავლების ზრდის გზით. ჩვენ ასევე დიდი როლი გვეკისრება იმ საქმიანობაში, რომელზეც შეგვიძლია გავლენის მოხდენა, მაგრამ არა მისი კონტროლი, რადგან მასზე პასუხისმგებლობას სხვებიც ინაწილებენ.**




**კონტროლის სფერო: საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**

ჩვენ განვიხილავთ პასუხისმგებლობის ორ დონეს. პირველ რიგში, ეს გულისხმობს საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას, რაც ხშირად საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით იქ, სადაც საკანონმდებლო ჩარჩო არ არსებობს, ან ჩამოყალიბების პროცესშია, ან არსებობს, მაგრამ თანმიმდევრულად არ არის დაცული. მეორე – კომპანიამ, რომელსაც წარმატებული საქმიანობის გრძელვადიანი გეგმა აქვს, უნდა დანერგოს ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის საყოველთაო სტანდარტები, რომლებსაც დაიცავს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ისეთ დიდ და მრავალმხრივ ორგანიზაციაში, როგორიცაა BP, ამის მიღწევა ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ანგარიშის I თავში აღწერილია 2005 წლის განმავლობაში ჩვენი პასუხისმგებლობით განხორციელებული საქმიანობა.

**გავლენის სფერო: ჩვენი როლი საზოგადოებაში**

ძირითადი საქმიანობის გარდა, ჩვენ ასევე ვცდილობთ დადებითი გავლენა მოვახდინოთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც აისახება ჩვენს საქმიანობაზე და რომელთა გაუმჯობესებაშიც საკუთარი წვლილის შეტანა შეგვიძლია. ამ საკითხთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილება და სოციალური და ეკონომიკური განვითარება. ჩვენ მიერ კლიმატური ცვლილებების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები არსებითად სცდება მხოლოდ ჩვენივე ემისიის შემცირებას. აღნიშნული ასევე მოიცავს საკანონმდებლო დებატებში მონაწილეობას, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას და ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ახალი და უფრო უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას. 2005 წელს მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ბიზნესის ახალი მიმართულების – "BP-ის ალტერნატიული ენერგიის" – დაწყებით, რომლის მიზანია ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის წარმოება და რეალიზაცია. რაც შეეხება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებად ქვეყნებში ჩვენ, ძირითადად, წვლილი მიგვიძღვის სახელმწიფო შემოსავლების, სამუშაო ადგილების, უნარ-ჩვევებისა და პროდუქტების შექმნაში, ბევრად უფრო ფართო როლიც გვეკისრება მართვის ხელშეწყობისა და მასპინძელი საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით. II თავში აღწერილია 2005 წლის განმავლობაში აღნიშნულ სფეროებში განხორციელებული საქმიანობა.

# 2005 წლის შედეგები

## მიღწევები

**"პირველი ნავთობი" საქართველოში** 2005 წლის მეორე კვარტლის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიაზე უკვე დასრულებული იყო BTC მილსადენის გაყვანა. აზერი-შირაგი-გუნეშლის (ACG) საბადოებიდან ამოღებულმა აზებაიჯანულმა ნავთობმა მილსადენის საქართველოს მონაკვეთში ზაფხულში დაიწყო დენა. BTC მილსადენის მშენებლობის ფაზიდან ექსპლოატაციის ფაზაში გადასვლა წარმატებით განხორციელდა მილსადენის ნავთობით შევსებისა და დამხმარე ნაგებობების ამუშავების შედეგად (გვ. 8).

**განსაკუთრებული წარმატება დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენის (WREP) ექსპლოატაციაში** დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენმა, რომლითაც ხდება კასპიის ზღვის ნავთობის საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიაზე მდებარე სუფსის პორტამდე ტრანსპორტირება, მიაღწია მაქსიმალურ სიმძლავრეს – დღეში 155 ათასი ბარელი ნავთობის ტრანსპორტირებას. მილსადენის ექსპლოატაციაში მიღწეულ იქნა თვალსაჩინო – 99%-იანი ეფექტურობა. აღნიშნული განხორციელდა იმგვარად, რომ ზედიზედ 7 წლის განმავლობაში უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო არ გაცდენილა არც ერთი დღე – ჩვენმა პერსონალმა უსაფრთხოდ იმუშავა 4 მილიონი საათი (გვ. 21-23).

**გარემოს დაცვა და აღდგენა** 2005 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები მომავალშიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას. 2005 წლის მაისში საქართველოს მთავრობასთან ორწლიანი მუშაობის შედეგად დამტკიცდა ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა და პირობები BTC-ის საქართველოს მონაკვეთისათვის (გვ. 17-18). გარდა ამისა, მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ ნიადაგი აღდგა პირვანდელი სახით, რაც რთულ საინჟინრო და აღდგენით სამუშაოებს მოიცავდა (გვ. 16).

**სოციალური ინვესტიციების მხარდაჭერა** 2004 წელს BP-ის მიერ საქართველოს წინაშე აღებული 14,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სოციალური და ეკონომიკური ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტი განათლების, ჯანდაცვისა და ენერგეტიკის სფეროებში. გარდა ამისა, დაიწყო მზადება BTC/SCP-ის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მეორე ეტაპისათვის, რომლის ბიუჯეტიც შემდგომი სამი წლის განმავლობაში 5 მილიონი აშშ დოლარია (გვ. 35-36).

**მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა** 2005 წელს წარმატებით დასრულდა არასამთავრობო ორგანიზაციათა მონიტორინგის პირველი ფაზა, რომელიც მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციათა შესაძლებლობების განვითარებას, ასევე, ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის გამჭვირვალობის და დიალოგის ხელშეწყობას. არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან ბევრი მივიღეთ და გავითვალისწინეთ (გვ. 13-14).

**რეგიონული განვითარების ინიციატივა** მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა, რათა საქმედ ქცეულიყო რეგიონული განვითარების ინიციატივის ფარგლებში გათვალისწინებული საკითხები, რაც წარმოადგენს საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში ეროვნულ დონეზე სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მექანიზმს. წამოწყებული პროექტები ძირითადად მიმართულია კერძო სექტორის გასავითარებლად. ჩვენ ასევე წვლილი შევიტანეთ ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის აღდგენაში (გვ. 36-37).

## ამოცანები

**უსაფრთხო და ეფექტური გადასვლა მშენებლობიდან ექსპლოატაციაზე** საქართველოში BTC და SCP მილსადენების მშენებლობის დასრულებასთან ერთად წამოიჭრება საკითხები ახალი დამხმარე ნაგებობების ექსპლოატაციაში გაშვებასთან, პერსონალის შეცვლასთან, ახალ თანამშრომლობასა და პროექტზე მომუშავე პერსონალის დემობილიზაციასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ჩვენი შედეგები მილსადენების მშენებლობის საქმეში არსებულ საშუალო მაჩვენებლებზე მაღალია, ჩვენი პრიორიტეტი კვლავაც გარდამავალ ეტაპზე უსაფრთხოებისა და ეფექტურობის მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნებაა (ამ საკითხებთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას ხშირად შეხვდებით მოცემულ ანგარიშში).

**მოლოდინის განსაზღვრა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა** ჩვენ ვაცნობიერებთ იმ დადებით გავლენას, რომელიც შეგვიძლია ვიქონიოთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგალითად, ენერგეტიკული რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, თუმცა განსაზღვრული გვაქვს ჩვენი შესაძლებლობების ჩარჩოებიც. ჩვენ უნდა ვმართოთ საზოგადოების მოლოდინი იმ საკითხების გაშუქებით, რომლებშიც ძირითადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, ასევე უზრუნველვყოთ პროექტით მიღებული შემოსავლების მართვის გამჭვირვალობა (გვ. 31).

**შესაძლებლობათა განვითარება** ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეგვიძლია საქართველოში ღია და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის შესაძლებლობების განვითარებით. გარდა ამისა, გავაგრძელებთ ქართული პერსონალის კომპეტენციისა და შესაძლებლობების განვითარებას ჩვენი ადგილობრივი გეგმის შესაბამისად. სადაც შესაძლებელია, გამოვიყენებთ ასევე ადგილობრივ კონტრაქტორებსა და მომწოდებლებს მათი ეკონომიკური პოტენციალის გასაძლიერებლად (გვ. 26-27).

**უსაფრთხოების უზრუნველყოფა** ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ჩვენი პერსონალისა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე მილსადენებზე მომუშავეთა უფლებების დაცვის მიზნით (გვ. 24-25).

**გარემოს დაცვა** არსებული მართვის სისტემების გარდა, განვახორციელეთ ინვესტიცია უსაფრთხოების ტექნიკური მექანიზმების შექმნაში, რაც მილსადენებთან დაკავშირებულ ნებისმიერ რისკს გარემოსათვის მინიმუმამდე შეამცირებს და ნარჩენებსა და ზემოქმედებას სწორად მართავს. გარემოს დაცვასთან მიმართებაში ჩვენი საქმიანობა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა წარიმართოს (გვ. 15-19).

# 1

# საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით


1.1 BP თვალის შევლებით
1.2 ჩვენი კომერციული საქმიანობა
1.3 ჩვენი ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
1.4 დიალოგი და თანამშრომლობა
1.5 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
1.6 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
1.7 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
1.8 დაცვა და ადამიანის უფლებები
1.9 ჩვენი თანამშრომლები


ადდგენითი სამუშაოები მოიცავს მილსადენების საქართველოს მონაკვეთის მშენებლობის დროს სამშენებლო დერეფნიდან გატანილი ქვის მასალის გამოყენებას.

## 1.1 BP თვალის შევლებით

**საქმიანობისადმი სრული პასუხისმგებლობით მიდგომა ჩვენი კორპორატიული კულტურის ქვაკუთხედია. ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა, შევინარჩუნოთ მაღალი და თანმიმდევრული სტანდარტები უსაფრთხოების, პატიოსნების, გარემოს დაცვისა და პერსონალის მართვის პრინციპებთან მიმართებაში ყოველდღიურ საქმიანობაში და ყველგან, სადაც ვმუშაობთ. ანგარიშის წინამდებარე ნაწილი აღწერს ჩვენს მიდგომას.**

BP თავის საქმიანობას მსოფლიო მასშტაბით ახორციელებს. ჯგუფი საქმიანობს და ემსახურება მომხმარებელს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყნაში, ხოლო საძიებო და მოპოვებით სამუშაოებს 26 ქვეყანაში ასრულებს. ჩვენი ძირითადი საშუალებების დაახლოებით 40% აშშ-შია თავმოყრილი, ხოლო დაახლოებით 25% – ინგლისსა და ევროპის სხვა ნაწილში. სტრატეგიის განსახორციელებლად BP შეიმუშავებს წლიურ და ხუთწლიან გეგმებს.

BP-ის საქმიანობა მოიცავს სამ ბიზნეს სეგმენტს: საძიებო და მოპოვებითი საქმიანობა, გადამუშავება და რეალიზაცია და გაზი, ენერგია და ენერგიის განახლებადი წყაროები. აღნიშნულ სამ სეგმენტს ემსახურება ჯგუფის დანაყოფების მთელი რიგი, რომელთა მიზანია ერთიანობის უზრუნველყოფა მთელ ჯგუფში, რისკების ეფექტურად მართვა და საქმიანობის ეკონომიურად ორგანიზება. ბიზნესის ტექნოლოგიური მხარდაჭერა ხორციელდება ჯგუფის კვლევითი და საინჟინრო საქმიანობით. ტექნოლოგიების საშუალებით ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი ხდება ისეთი ენერგორესურსები, რომლებიც აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ტექნოლოგიები ასევე ეხმარება ჯგუფს მის მიერ წარმოებული და მოხმარებული ენერგიის გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირებაში.

სეგმენტებსა და ფუნქციებს შორის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, BP-ის საქმიანობა დაყოფილია ოთხ "რეგიონად", რაც ხელს უწყობს გარეშე მხარეებთან BP-ის ურთიერთობას. ჩვენი საქმიანობა საქართველოში აფრიკა – შუა აზია – კასპიის რეგიონის განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც ჯგუფის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ნაწილი.

BP თანამშრომლობს მთელ რიგ კომპანიებთან, რომლებიც არ შედიან BP ჯგუფში, ასევე სხვა ერთობლივ საწარმოებთან. ჯგუფის გადასახედიდან, მსგავსი ერთობლივი საწარმოები თავად წარმოადგენენ დიდ და მნიშვნელოვან კომპანიებს, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან საკუთარი მმართველობითა და მართვის პროცესებით და რომლებშიც BP წარმოდგენილია, როგორც აქციონერი. ყველა შემთხვევაში, BP მისდევს საკუთარ სტანდარტებსა და პოლიტიკას ამ ერთობლივ საწარმოებში, სადაც თვითონ არის ოპერატორი და სადაც ამის შესაძლებლობას ერთობლივ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულება იძლევა.

იმ შემთხვევებში, როცა BP არ წარმოადგენს ოპერატორს, ან როდესაც იგი ერთობლივი საწარმოს აქციონერია, იგი მხარს უჭერს ისეთი სტანდარტებისა და პოლიტიკის დანერგვას, რომელიც შესაბამისობაშია BP-ის სტანდარტებსა და პოლიტიკასთან.

**BP ჯგუფის ფასეულობები**



**BP-ის ხედვა და სტრატეგია** BP ჯგუფის სტრატეგია ხუთწლიან და ერთწლიან გეგმებშია ასახული. სტრატეგია სამი მიზნის მიღწევას ემსახურება. ესენია:

- ზრდის ხელშეწყობა შესრულებაზე, განსაკუთრებით კი შემოსავლებზე ყურადღების გამახვილებით და მომავალი განვითარებისათვის საჭირო ინვესტირება;
- ცალკეულ აქციებზე გაცემული დივიდენდების ზრდა BP ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად; და
- საინვესტიციო ხარჯების გაწევისა და დივიდენდების განაწილების შემდეგ თავისუფალი ფულადი ნაკადების აქციონერთათვის დაბრუნება.

BP-ის მიმართულება განისაზღვრება აგრეთვე ჯგუფის საერთო ფასეულობებით, როგორიცაა ეთიკური ქცევა, თანამშრომელთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა და პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე. BP ეფუძნება ისეთ მყარ ვალდებულებებს, როგორიცაა სამართლიანობა, პატიოსნება, ყველასთან ურთიერთობა პატივისცემით, ურთიერთსასარგებლო მიზნისკენ სწრაფვა და წვლილის შეტანა საზოგადოებრივ პროგრესში ენერგიის იმგვარი წარმოებით, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვას.

**მმართველობა და რისკის მართვა**

აღნიშნული ფასეულობების შესაბამისად მოქმედებისათვის საჭიროა იმ რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვა, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით ყოველ დღე როგორც ორგანიზაცია და როგორც პიროვნებები. ჯგუფის კორპორატიული მართვის მოდელი ხელს უწყობს რისკის მართვას მმართველთა საბჭოს, ჯგუფის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის და დირექტორთა როლისა და პასუხისმგებლობის ნათლად განსაზღვრის გზით. ამ მოდელის ფარგლებში მმართველთა საბჭო, რომელიც აქციონერთა წინაშეა პასუხისმგებელი, მართვის სრულ უფლებამოსილებას გადასცემს ჯგუფის მთავარ აღმასრულებელს. თავის მხრივ, ჯგუფის მთავარი აღმასრულებელი უფლებამოსილების დელეგირებას ახდენს ზედა რგოლის მენეჯერებთან და ასე გრძელდება მართვის ქვედა დონემდე. შიდა კონტროლის ეს სისტემა "BP-ის მენეჯმენტის ჩარჩოს" სახელითაა ცნობილი. ეს ჩარჩო განსაზღვრავს ჯგუფის სხვადასხვა სამსახურის როლებსა და ურთიერთობებს და ქმნის მართვის სისტემების, ორგანიზაციული სტრუქტურების, პროცესების, სტანდარტებისა და ქცევის ნორმების სრულ კომპლექტს, რომელიც ჩვენი საქმიანობის წარმართვისა და აქციონერებისთვის მოგების უზრუნველყოფის პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული. წინამდებარე ანგარიშში მოცემულია მრავალ ასეთ სისტემასთან, სტრუქტურასთან, პროცესთან და ქცევის ნორმასთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული საქმიანობის კონტექსტში.

## წარმოების კონტროლი BP-ში

BP-ის მართვის პროცესები მოიცავს მმართველთა საბჭოს დონეზე შემუშავებულ მართვის პოლიტიკას, BP ჯგუფის მენეჯმენტის ჩარჩოს, ჯგუფის სტანდარტებსა და ეთიკის კოდექსს, აგრეთვე საოპერაციო სტანდარტებს და კონტროლის პროცესებს. ყველა ეს პროცესი მიმართულია ჩვენი სტრატეგიული მიზნისაკენ – უზრუნველვყოთ აქციონერთა სტაბილური მოგება.

## 1.2 ჩვენი კომერციული საქმიანობა

**BP-ის საქმიანობა კასპიის რეგიონში სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მთელი ჯგუფისათვის. ამ რეგიონში განხორციელებულია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ინვესტიცია. მოცემულ კონტექსტში, სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მშენებლობაში ინვესტირებიდან გრძელვადიანი ექსპლოატაციის ეტაპზე გადავდივართ და ვიღებთ ვალდებულებებს, ხელი შევუწყოთ საქართველოს ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სტაბილურობას.**

საქართველოში ჩვენ ვახორციელებთ სამ დიდ პროექტს ნავთობისა და გაზის სფეროში, რომლებშიც ვასრულებთ ძირითადი ინვესტორისა და ოპერატორის როლს. ინფორმაცია ჩვენს პარტნიორებსა და მათ ინვესტიციებზე ქვემოთ არის მოყვანილი. აღნიშნული სამი პროექტია:

- დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP). მილსადენის სიგრძე 830 კმ-ია და მისი მეშვეობით ხორციელდება კასპიის ზღვის ტერიტორიაზე მდებარე შირაგის საბადოდან მოპოვებული ნავთობის აზერბაიჯანში მდებარე სანგაჩალის ტერმინალის გავლით დასავლეთ საქართველოში სუფსის ტერმინალამდე ტრანსპორტირება. მილსადენის თითქმის ნახევარი საქარველოს ტერიტორიაზეა. 90-იანი წლების მიწურულს საბჭოთა პერიოდში აშენებული მილსადენის შეკეთებისა და განახლების შემდეგ, 1998 წლის დეკემბერში დაიწყო WREP-ის მეშვეობით ნავთობის სანგაჩალიდან ტრანსპორტირება. ნავთობი საქართველოს ტერიტორიაზე 1999 წლის იანვრის პირველ კვირაში შემოვიდა. WREP-ის და ტერმინალის ექსპლოატაციაში გაშვებიდან 2005 წლის ბოლომდე 317 ტანკერის მეშვეობით (64 ტანკერი 2005 წელს) 295 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობი (2005 წლის განმავლობაში 52 მილიონ ბარელზე მეტი) იქნა გატანილი სუფსის ტერმინალიდან მსოფლიოს ბაზრებზე. WREP-ის მეშვეობით ნავთობის გატარებამ მნიშვნელოვანი შემოსავლები მისცა საქართველოს მთავრობას სატრანზიტო გადასახადების სახით.
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC). მილსადენის მშენებლობა საქართველოში წარმატებით დასრულდა 2005 წელს, რაც მასპინძელი ქვეყნების მთავრობებს, ინვესტორებსა და კერძო კომპანიებს შორის დაახლოებით ათწლიანი თანამშრომლობის შედეგად მიღწეული უაღრესად დიდ წარმატებაა. მილსადენს დღეში დაახლოებით მილიონი ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია აზერბაიჯანში მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან თურქეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის ახალ საზღვაო ტერმინალამდე. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენი და რეგიონში განხორციელებული ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინვესტიციაა.
- სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP). მოცემული მილსადენი საქართველოს ტერიტორიაზე იმავე დერეფანშია აშენებული, რომელშიც გადის BTC მილსადენი და მისი მეშვეობით კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული ბუნებრივი გაზი მიეწოდება საქართველოს,

**მილსადენების აქციონერები (%)**



## “პირველი ნავთობის” ღონისძიებები საქართველოში

2005 წლის ზაფხულში აზერი-შირაგი-გუნეშლის (ACG) საბადოებზე მოპოვებული აზერბაიჯანული ნავთობი BTC მილსადენის საქართველოს სექტორში შემოვიდა.

ნავთობის შემოსვლა ოფიციალურად აღინიშნა 2005 წლის 12 ოქტომბერს BTC-ის პირველ საქაჩ სადგურზე, რომელიც გარდაბნის მახლობლად მდებარეობს. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ძვრები. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (სურათზე მარცხნივ) ხაზი გაუსვა BTC მილსადენის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას. თურქეთის პრეზიდენტმა აჰმედ ნესდეთ სეზერმა ყურადღება გაამახვილა რეგიონში ენერგეტიკის სფეროში არსებულ მიღწევებზე, რაც 90-იან წლებში ჩასახული აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული კორიდორის ინიციატივის ხორცშესხმით იქნა მიღწეული.

საქაჩ სადგურზე ოფიციალური ცერემონიის შემდეგ ზეიმი თბილისის ეროვნული მუზეუმის შენობაში გაგრძელდა, სადაც გაიხსნა BTC-ის მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული გამოფენა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემაზე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ეხილათ BTC მილსადენის მშენებლობის დროს წარმოებული გათხრებისას და სხვა ადგილებში ნაპოვნი, რეგიონში ათასწლეულების წინ ადამიანთა ცხოვრებისა და კულტურის ამსახველი არქიტექტურული აღმოჩენები.

---

თურქეთისა და აზერბაიჯანის მომხმარებლებს. 2005 წლის ბოლოსთვის დასრულებული იყო SCP მილსადენის მშენებლობის დაახლოებით 85%. მისი ექსპლოატაციაში გაშვება 2006 წელს არის დაგეგმილი სამივე ქვეყნის წინაშე გაზის რეალიზაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად. საქართველოსთვის ეს იქნება გაზმომარაგების სანდო და შედარებით იაფი წყარო.

ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელებისას წარმოიშვა მრავალი საკითხი, რომელთა გადაწყვეტამ გავლენა იქონია ვადებზე. ამ საკითხთა დიდი ნაწილი, ისევე, როგორც მათი გადაჭრის გზები, წინამდებარე ანგარიშშია განხილული.

ამ სამი ძირითადი პროექტის გარდა, საქართველოში 1998 წლიდან მოყოლებული აქტიურად ვახორციელებთ საავიაციო სავაჭრო საქმიანობას. თბილისის აეროპორტში BP საწვავით ამარაგებს ადგილობრივ და საერთაშორისო ავიახაზებს. ჩვენი ერთობლივი საწარმოს პარტნიორ Aviafuel Service-თან ერთად მომხმარებელს ვაწვდით BP-ისა და Castrol-ის წარმოების საპონ მასალებს.

BP საქართველოში ასევე საძიებო სამუშაოების წილის მფლობელია შავი ზღვის IIA, IIB, და III ღრმა წყლების რაიონებში. Anadarko (48%) წარმოადგენს ოპერატორს BP-თან (28,5%), Turkey Petroleum Overseas Company-თან (13,5%) და Chevron-თან (Unocal-10%) ერთად. გრძელდება სეისმური მონაცემების გაშიფვრა.

---

# 1.3 ჩვენი ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა

**გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის დამახასიათებელი სირთულეების გათვალისწინებით, ჩვენი ფინანსური და ეკონომიკური გავლენა საქართველოში თვალსაჩინოა.**

ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებში WREP-ის ტარიფის და მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე გატარებულ ნავთობსა და გაზთან დაკავშირებული გადასახადების სახით. ჩვენ ვართ ადგილობრივი კომპანიებისა და საქართველოს მოქალაქეების ყველაზე მსხვილი დამქირავებელი. გარდა ამისა, ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი ინვესტიციები განვახორციელეთ გარემოს დაცვის და სოციალურ პროექტებში, რომელთა მიზანია არსებული პრობლემების გადაჭრა და სამომავლოდ ეკონომიკური დამოუკიდებლობის და მყარი სოციალური გარემოს ხელშეწყობა. ეს ინვესტიცია უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობისა და მოქალაქეებისათვის. შესაბამისად, ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი საქმიანობა ქვეყანაში არსებული შესაძლებლობების გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვან პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

ჩვენს ფინანსურ და ეკონომიკურ გავლენაზე დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი WREP-ის ტარიფი მეტყველებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს გადასახადებს WREP პროექტიდან 2000-2005 წლებში. როდესაც სრულად ამოქმედდება BTC და SCP მილსადენები, სახელმწიფოსათვის გადასახდელი თანხები მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩვენი წინასწარი შეფასებით, 2007 წელს BTC-დან შემოსული გადასახადი 25 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რომელიც შემდგომი წლების განმავლობაში, WREP-იდან გადასახადების გაუთვალისწინებლად, წელიწადში 50 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

**GIOC-ისთვის[1] გადახდილი ტარიფები WREP-დან 2000-2005 წწ.** (მილიონი $)




შენიშვნა:
[1] GIOC არის საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს მთავრობას წარმოადგენს. 2004 წლის BP საქართველოს მდგრადი განვითარების ანგარიშში მოყვანილი მონაცემები აღებულია IMF-ის ანგარიშიდან.

SCP მილსადენიდან შესყიდული გაზის გარდა, საქართველო მიიღებს უსასყიდლო გაზს გაზის ტრანსპორტირების ტარიფის სანაცვლოდ, რომელიც შესაძლებელია, გადაყვანილ იქნას ფულად მაჩვენებელში გაზის ღირებულების გათვალისწინებით. ჩვენი პროგნოზით, ეს უტოლდება წელიწადში 17 მილიონ აშშ დოლარს პროექტის I ფაზის პიკური გამტარობის დროს.

ჩვენ ერთადერთი უდიდესი უცხოელი ინვესტორი ვართ ქვეყანაში და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს მის ეკონომიკურ განვითარებაში. არსებული შეფასებების მიხედვით, 2005 წელს საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების 60% BP-სა და მის პარტნიორებზე მოდიოდა. ჩვენი კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯები პროექტის დაწყებიდან 2005 წლამდე BTC-ისათვის შეადგენს 775 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო SCP-ისათვის – 447 მილიონ აშშ დოლარს. 2004-2005 წლების დანახარჯები მოყვანილია ქვემორე ცხრილში. ვინაიდან ჩვენი საქმიანობის ხასიათი არსებითად იცვლება და პროექტებში კაპიტალდაბანდებებს ექსპლოატაციის ეტაპი ცვლის, შესაბამისად შეიცვლება დანახარჯთა ბალანსიც – კაპიტალური დანახარჯების მოცულობა შემცირდება, ხოლო საოპერაციო ხარჯებისა – გაიზრდება.

**კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯები საქართველოში ($)**

| | კაპიტალური 2004 | კაპიტალური 2005 | საოპერაციო 2004[1] | საოპერაციო 2005 |
|---|---|---|---|---|
| WREP | 2 342 000 | 4 752 000 | 20 581 000 | 23 711 000 |
| BTC | 262 936 000 | 225 812 000 | 0 | 0 |
| SCP | 160 861 000 | 205 736 000 | 0 | 0 |
| **სულ** | **426 139 000** | **436 300 000** | **20 581 000** | **23 711 000** |

[1] მოიცავს საქართველოს მილსადენის კომპანიის საოფისე და ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული BP საქართველოს 2004 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშში.

## 1.4 დიალოგი და თანამშრომლობა

**ჩვენს თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს ხშირი ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის, მთავრობასთან, საზოგადოებასთან, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კრედიტორებთან, მომწოდებლებთან და ბიზნეს-პარტნიორებთან. ამ ჯგუფებთან ურთიერთობისას ჩვენი მიზანია საერთო სასარგებლო თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რაც სარგებელს მოგვიტანს როგორც ჩვენ, აგრეთვე ჩვენს ბიზნეს პარტნიორებს.**

ბუნებრივია, ჩვენმა მონაწილეობამ კასპიის რეგიონში მასშტაბური პროექტების განხორციელებაში დიდი ყურადღება მიიქცია და არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი. ჩვენი მიდგომა გულისხმობს საქმიანობის მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმართვას, რაც მოიცავს ჩვენი საქმიანობის როგორც შიდა, ასევე გარე შემოწმების მექანიზმებს. ჩვენს პროექტებს გააჩნია მონიტორინგისა და შემოწმების 15 დამოუკიდებელი დონე. შიდა მონიტორინგს ატარებენ როგორც თავად პროექტის განმახორციელებელი ჯგუფები, ასევე პროექტის კონსულტანტები და კონტრაქტორები. დამატებით მონიტორინგს ახორციელებენ გარე მხარეები, როგორიცაა მთავრობის შესაბამისი ორგანოები ან კრედიტორი ორგანიზაციის მიერ შერჩეული აუდიტორები.

ზემოთ მოყვანილი მრავალმხრივი მონიტორინგის სქემა პროექტების განხორციელების დაწყებისთანავე დაინერგა და მისი გამოყენება 2005 წლის განმავლობაშიც გრძელდებოდა. ივლისში საქართველოს ეწვია კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭოს (CDAP) სპეციალური მრჩეველი სოციალურ და გარემოს დაცვის საკითხებში, რასაც ოქტომბერში საბჭოს სრული შემადგენლობით ვიზიტი მოჰყვა. გაგრძელდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

**მონიტორინგისა და კონტროლის დონეები**




შენიშვნები:
APLR – მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია
CAO – შესაბამისობის მრჩეველი/ომბუდსმენი
CLEE – იურიდიულ და ეკონომიკურ საწარმოთა ცენტრი
IRM – დამოუკიდებელი რესურსების მექანიზმი
RUDF – სასოფლო და ურბანული განვითარების ფონდი
SRAP – სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმა

მონიტორინგის პროგრამა, რომელიც "მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივის" სახელითაა ცნობილი; იგი უფრო დეტალურად ქვემოთაა აღწერილი. გარდა ამისა, სექტემბერში პროექტი განიხილა და შეაფასა სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმის (SRAP) ექსპერტთა საბჭომ. მონიტორინგი გაგრძელდა მასპინძელი ქვეყნის მთავრობის მხრიდან, რაც მოიცავდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა BTC მილსადენის კოდიანას მონაკვეთზე ლოკალიზაციის სპეციალური ზომების მიღება, საქართველოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამა, ფლორის იშვიათი სახეობები და ნარჩენების მართვა.

2005 წლის განმავლობაში კრედიტორთა ჯგუფის გარემოს დაცვის დამოუკიდებელმა კონსულტანტმა (IEC) განახორციელა BTC-ის მშენებლობის კვარტალური აუდიტორული შემოწმება. 2005 წელს საქართველოში აღინიშნა "III კატეგორიის" სტანდარტებთან შეუსაბამობის მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომელიც შესწავლილ იქნა კრედიტორების მიერ. აღნიშნული ეხებოდა ნარჩენების მართვის ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიის დანერგვის საჭიროებას (განხილულია ანგარიშის 1.5 ნაწილში). აღსანიშნავია, რომ BTC-ის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე IEC აუდიტის მიერ გამოვლენილი სტანდარტებთან შეუსაბამობის შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

"მთლიანობაში, საბჭოზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა BP-ის და BTC-ის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი გუნდის ძალისხმევამ, რომელიც პროექტის განხორციელების პროცესში მაღალი სტანდარტების დანერგვაზე იყო ორიენტირებული. ამავე დროს, პროექტის ფარგლებში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგების გათვალისწინებით, მოცემულ ანგარიშში მოგვყავს მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მთელი რიგი, რომლებიც პროექტის პოზიტიურ შედეგებს კიდევ უფრო ხაზგასმით გამოხატავს".

CDAP-ის ანგარიში 2005 წლის საქმიანობასთან დაკავშირებით: 2005 წლის 28 დეკემბერი (ანგარიში გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე http://www.caspsea.com)

**კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭო (CDAP)** კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭომ (CDAP), რომელიც BP ჯგუფის მთავარი აღმასრულებელი დირექტორისათვის რეგიონში განხორციელებული პროექტების შესახებ დამოუკიდებელი რჩევისა და კონსულტაციის გაწევის მიზნით შეიქმნა, საკუთარი წლიური ანგარიში 2005 წლის დეკემბერში წარადგინა. საბჭომ პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით მთელი რიგი პოზიტიური ასპექტები გამოავლინა და შეიმუშავა რეკომენდაციები გაუმჯობესებისათვის, რაც უზრუნველყოფდა პროექტის დასრულებას მაღალი ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტების შესაბამისად. დასკვნები და რეკომენდაციები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მილსადენების დერეფნის აღდგენა, მიწის შესყიდვა, კომპენსაცია და ნარჩენების მართვა.

**ურთიერთობები მთავრობასთან** კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭოს (CDAP) დასკვნებში საუბარი იყო BP-ისა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთობების გამყარებასა და თანამშრომლობის განვითარებაზე. საბჭომ აღწერა მთელი რიგი ღონისძიებები მთავრობის მიერ გამოთქმული მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების მიზნით. მათ შორის იყო ღონისძიებები მილსადენის უსაფრთხოების გასაძლიერებლად, რომლებიც მოიცავდა დამატებითი საინჟინრო დაცვის მექანიზმების დანერგვას, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად ბორჯომის რაიონში ნავთობის სპეციალური ავარიული ჩამოსაცლელი ავზის დამონტაჟებისთვის მომზადებას და მილსადენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაცვის

თემებთან ჩვენი ურთიერთობა გულისხმობს ისეთ სისტემატურ დიალოგს, როგორსაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან აწარმოებენ ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცრები.

## პრაქტიკული მაგალითი: მიწის შესყიდვა და კომპენსაცია

მიწის შესყიდვა და კომპენსაცია ერთ-ერთი პრობლემური საკითხი იყო BTC და SCP მილსადენების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და განვითარების სააგენტოებისათვის. ეს საკითხები რთულია და მოითხოვს მიწის მფლობელობის და რეგისტრაციის, მოსავლის ინვენტარიზაციისა და მშენებლობის დასრულების შემდეგ მიწის სარგებლობაში დაბრუნების პროცედურის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას.

მიწის მფლობელობასთან დაკავშირებით სარწმუნო ინფორმაციის, მიწის ბაზრის და ნაკვეთების დადგენილ ფასთა უქონლობის პირობებში, მიწის შესყიდვისა და დაბრუნების პროცესი უაღრესად გართულებულია. პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, მიწის შესყიდვის პროცედურა გაწერილ იქნა საჯარო დოკუმენტებში, კერძოდ კი BTC და SCP მილსადენების საჭიროებებისთვის "მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ზოგად სახელმძღვანელოში" და "განსახლების სამოქმედო გეგმაში." აგრეთვე, შედგენილ იქნა საინფორმაციო ბროშურა, სადაც გაიწერა მიწის დაბრუნების პროგრამა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ბროშურა მოსახლეობას დაურიგდა 2005 წელს.

მშენებლობისათვის მიწა შეძლებისდაგვარად მინიმალურად იქნა შესყიდული. ჩვენ თანმიმდევრულად ვახორციელებდით განსახლების სამოქმედო გეგმაში ასახულ თავდაპირველ პოლიტიკას და ანაზღაურების დაწესებული ტარიფებით ვხელმძღვანელობდით.

სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მიწის შესყიდვის პროცესი საკმაოდ რთულია. რიგ შემთხვევებში მიწის დამატებითი ნაკვეთების შესყიდვის საჭიროება ჩნდება. ეს მეტწილად მაშინ ხდება, როდესაც საჭიროა BTC და SCP მილსადენების მარშრუტის შეცვლა და პროექტის გადასინჯვა ადგილობრივი ტოპოლოგიური პირობების გამო.

მთლიანობაში, 2003 წლის შემდეგ საქართველოში მიწის შესყიდვასა და მოსავლის კომპენსაციისათვის 20 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იქნა გადახდილი. შესყიდულ იქნა სამშენებლო დერეფნის ზონაში მოხვედრილი დაახლოებით 3400 კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი, რასაც დაემატა მაღალმთიან სოფლებში მდებარე დაახლოებით 200 მიწის ნაკვეთი და იჯარაში გაცემული 200 ნაკვეთი.

მილსადენების მშენებლობის დასრულების მოახლოებასთან ერთად დაიწყო მიწის ინდივიდუალურ და სათემო სარგებლობაში დაბრუნების პროცესი. მიწა (გარდა იმ მიწისა, რომელზეც მუდმივი მიწისზედა ობიექტებია გალაგებული) თავდაპირველ კერძო მფლობელებს უბრუნდებათ უფასო სარგებლობაში, თუმცა არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რაც, მაგალითად, შენობა-ნაგებობების აშენებას ან ხეების დარგვას ეხება. ეს შეზღუდვები მილსადენის უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველყოფის მიზნითაა დაწესებული. ისინი შეთანხმებულია საქართველოს მთავრობასთან და საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს შეესაბამება. ეს შეზღუდვები არ ახდენს რაიმე არსებით გავლენას მიწით სარგებლობაზე.

პროექტების ფარგლებში დანერგილია ინდივიდუალური ან ჯგუფური საჩივრის წარდგენის ფორმალური პროცედურები იმ შემთხვევისათვის, თუ მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მიწის შესყიდვის ან კომპენსაციის პროცესში მათ სათანადო ანაზღაურება ვერ მიიღეს ან იზარალეს. შესაძლებელია აგრეთვე საჩივრის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესაბამისობის მრჩევლის/ომბუდსმენის სახელზე წარდგენა, რომელსაც დავების დარეგულირების დამოუკიდებელი, ფორმალური პროცედურა გააჩნია. 2005 წლის განმავლობაში წარმატება იქნა მიღწეული მიწის შესყიდვის და კომპენსაციის, აგრეთვე მშენებლობასთან დაკავშირებით არსებული საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით. ამჟამად განსახილველი საჩივრების შედარებით მცირე რაოდენობაა დარჩენილი და ჩვენ მათ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში განვიხილავთ და დავაკმაყოფილებთ.

**BTC/SCP მიწისა და მოსავლის კომპენსაცია საქართველოში ($)**

| | მიწა | მოსავალი | სულ |
|---|---|---|---|
| 2003 | 6 691 490 | 4 933 688 | 11 625 178 |
| 2004 | 2 325 732 | 4 865 665 | 7 191 397 |
| 2005 | 484 572 | 1 090 274 | 1 574 846 |
| **სულ** | **9 501 794** | **10 889 627** | **20 391 421** |

თანამშრომელთათვის უსაფრთხოების ბაზის მშენებლობასა და აღჭურვას. გარდა ამისა, გამოიყო პირველი ტრანში 2004 წელს შეთანხმებული BTC-ის საგრანტო პროგრამის ფარგლებში და განხორციელდა საწყისი დაფინანსება "BP-ის ვალდებულების" პროგრამიდან განათლების, ჯანდაცვის, ენერგეტიკისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტებისათვის.

**ურთიერთობა მოსახლეობასთან** ჩვენი ყურადღება ძირითადად მიმართულია მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელზეც მილსადენის მშენებლობას პირდაპირი გავლენა აქვს. ამ თემებთან ჩვენი ურთიერთობა გულისხმობს სისტემატურ დიალოგს, მათ შორის დიალოგს, რომელსაც ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცრები აწარმოებენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან. იგი აგრეთვე მოიცავს ფორმალურ მოლაპარაკებებს, რაც აუცილებელია მიწის შესყიდვისათვის. მოლაპარაკებები შესაძლოა, ეხებოდეს მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ თავდაპირველი მოსარგებლეებისთვის მიწის დაბრუნების ახლახან დაწყებულ პროგრამას (პროგრამა "მიწათსარგებლობის უფლების დაბრუნების" სახელითაა ცნობილი).

თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივ მოსახლეობაზე მილსადენის მშენებლობის გავლენას და იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის უმეტესობას არასოდეს ჰქონია შეხება ასეთ მასშტაბურ პროექტთან, ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელზეც მილსადენის მშენებლობას პირდაპირი გავლენა აქვს, ხშირად საკმაოდ რთულია. როგორც ასეთი მასშტაბური და რთული პროექტებისთვის არის დამახასიათებელი და გარდაუვალი, ყოველივე ზემოაღნიშნულს მოსახლეობის მხრიდან მოჰყვა მიწის შესყიდვასა და კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული საჩივრები. აღსანიშნავია, რომ საჩივრების შემთხვევათა უმეტესობა ამჟამად წარმატებითაა გადაწყვეტილი. სოფელ დგვარის შემთხვევაში, სადაც სოფლისათვის სახიფათო მეწყერის საკითხი წამოიჭრა, ჩვენ დავაფინანსეთ რისკებისა და საფრთხის დამოუკიდებელი კვლევა. ამ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ BTC/SCP-თან დაკავშირებული სამშენებლო და მომავალი საექსპლოატაციო საქმიანობა სოფელზე უარყოფით გავლენას არ იქონიებს. კეთილი ნების გამოხატვის ნიშნად ჩვენ ფინანსური მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ მთავრობას მეწყერის საფრთხის გამო სოფლის მოსახლეობის სხვა ტერიტორიაზე განსახლების გეგმის განსახორციელებლად. 2005 წელს საქართველოს მთავრობამ შეგვატყობინა, რომ BP-ის მიერ ამ მიზნით შეთავაზებული სახსრების გამოყენების საჭიროება აღარ არსებობდა და ეს სახსრები გამოყენებული იქნებოდა BP-ის სოციალური პროექტების შესაბამისი ინიციატივების დასაფინანსებლად.

თემებთან რეგულარული ურთიერთობის შედეგად ჩვენთვის ცნობილი გახდა მილსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც მათ აწუხებთ. ჩვენ ეს საკითხები თემებთან შეხვედრების დროს განვიხილეთ; მსგავს საკითხებზე შეხვედრები ასევე ტარდებოდა დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობასთან.

2005 წლის განმავლობაში BTC/SCP მილსადენის დერეფანთან დაკავშირებით მივიღეთ ახალი საჩივრები, რომლებიც ეხებოდა აფეთქებითი სამუშაოებისა და მძიმე ტრანსპორტის გადაადგილების შედეგად შენობებისა და ნაგებობების დაზიანებას. BP-მ დაიქირავა დამოუკიდებელი ინჟინრები სამშენებლო კონტრაქტორის მიერ გაკეთებული შეფასებების გადასინჯვის მიზნით. ინჟინერთა დასკვნის შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შენობების დაზიანებისა და ბზარების გაჩენის ძირითადი მიზეზი მძიმე სატრანსპორტო საშუალებები ყოფილიყო. რეკომენდებულ იქნა დამატებითი კვლევების ჩატარება იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ამ დაზიანებების მიზეზი აფეთქებითი სამუშაოებით გამოწვეული ვიბრაცია ყოფილიყო. ეს კვლევები 2006 წლის განმავლობაში ჩატარდება.

რიგ შემთხვევაში მომჩივანი მხარე საჩივრით სხვა ორგანოებს მიმართავდა, მაგალითად, სასამართლოს, ან საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესაბამისობის მრჩეველს/ომბუნდსმენს (CAO). ჩვენ ყოველ ცალკეულ საჩივარს გულდასმით ვსწავლობთ და ვაფასებთ.

იყო შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა კეტავდა მილსადენთან მისასვლელ გზებს. მსგავსი ქმედება სხვადასხვა მიზეზის გამო ხდებოდა: ზოგჯერ ეს მიწის კომპენსაციის მოთხოვნასთან იყო დაკავშირებული, ზოგჯერ კი მუშახელის დემობილიზაციის გამო წამოჭრილი დასაქმების პრობლემასთან. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობდით მსგავსი საჩივრების დარეგულირებაზე ადგილობრივ ხელისუფლებასა და შესაბამის ორგანოებთან, რათა მათი დახმარებით თავიდან აგვეცილებინა გზის ხანგრძლივი გადაკეტვა.

**არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება: "მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა"** ჩვენი ძალისხმევა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ქმედითუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისკენ მათთან კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ ამას ემსახურებოდა ჩვენი ინტენსიური მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასთან 2005 წელს. მილსადენის გასწვრივ არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის გაზრდა გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ერთ-ერთ თემას წარმოადგენს. EIP-ის მცირე გრანტების პროგრამა არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის ამაღლებისკენაა მიმართული, რათა შესაძლებელი გახდეს მოქალაქეთა ჩართვა გარემოსდაცვით საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში.

2004 წელს დავიწყეთ ახალი ინიციატივა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ BTC და SCP მილსადენების პროექტების აუდიტის ხელშესაწყობად. "მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა" (PMDI) შეიქმნა ევრაზიის ფონდთან თანამშრომლობით. ფონდი კერძო ორგანიზაციაა, რომელიც გაცემს და განკარგავს გრანტებს და მიზნად ისახავს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ხელი შეუწყოს პროგრამებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო ბიზნესის ჩამოყალიბებას ითვალისწინებენ. ევრაზიის ფონდის მიერ განხორციელებული ინიციატივის მიზანია მონიტორინგისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, გუნდური აუდიტორული სამუშაოების ჩატარების ხელშეწყობა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობისა

და პროფესიონალიზმის დახვეწა. პროგრამას მხარს უჭერს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და IFC.

პროგრამის პირველი ეტაპი 2005 წელს დასრულდა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სწავლებას და კონსულტაციას უტარებდნენ ევრაზიის ფონდისა და დამოუკიდებელი კონსულტანტები, ხოლო ტექნიკურ დახმარებას BTC უზრუნველყოფდა. საველე გასვლებზე, BTC-ისა და კონტრაქტორის პერსონალთან ჩატარებულ ინტერვიუებსა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლაზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფებმა შეადგინეს აუდიტორული ანგარიშები, რომლებიც 2005 წელს გამოქვეყნდა.

სამუშაო ჯგუფების მიერ შედგენილ ანგარიშებში განხილულ იქნა ნარჩენების მართვასთან, მიწის პირვანდელი სახით აღდგენასთან, მილსადენთან მიმართებაში სოციალური და ადამიანთა უფლებების დაცვასთან (მიწის საკითხების ჩათვლით) დაკავშირებული საკითხები. ანგარიშების შედგენაში 16 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების უმეტესობა მიღებულ იქნა და პროგრამის მეორე ეტაპის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელებული სამუშაოს აუდიტი წარმოადგენს. BP-ის და მისი პარტნიორების საქმიანობის შესწავლის გარდა, პირველი ეტაპის დასრულებისას ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე "შეძენილი გამოცდილება", რათა არასამთავრობო ორგანიზაციებს უკეთ გაეაზრებინათ საკუთარი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები და განესაზღვრათ მომავალში უფრო ეფექტური საქმიანობის გზები.

PMDI-ის მეორე ეტაპი 2006 წელს განხორციელდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რაც მათ კვლავაც მისცემს BTC/SCP მილსადენების გასწვრივ BP-ის საქმიანობის მონიტორინგისა და აუდიტის შესაძლებლობას.

ჩვენ განვახორციელეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე პროექტი მასმედიის წარმომადგენელთათვის. 2003-2004 წლებში განხორციელებული პროექტების შემდგომ, რომლებიც ითვალისწინებდა ჟურნალისტების ტრენინგს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში, 2005 წელს ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით დავიწყეთ ინგლისური ენის სწავლების პროგრამა. გარდა ამისა, ვატარებდით შეკრებებს საქართველოს მასმედიისა და ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის.

**თანამშრომელთა თანამონაწილეობის ხელშეწყობა** თანამშრომლებთან ურთიერთობისათვის ჩვენ სხვადასხვა მექანიზმებს ვიყენებთ. ერთ-ერთია თანამშრომელთა ფართო ჯგუფის აზრის კვლევა, რომელიც ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და კვლავ ჩატარდება 2006 წელს. 2005 წელს შევისწავლეთ აგრეთვე ორგანიზაციის შიგნით თანამშრომელთა ურთიერთობის საკითხები და საფუძველი ჩავუყარეთ თანამშრომელთა კვარტალურ შეხვედრებს. გარდა ამისა, თანამშრომელთა საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართვის მიზნით, დავიწყეთ "თანამშრომელთა თანამონაწილეობის პროგრამის" განხორციელება. 2005 წელს საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე გასვლითი ღონისძიებების კვარტალურ პროგრამას. პირველი ასეთი ღონისძიება თანამშრომელთათვის ჩატარდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რომელთანაც BP-ის, როგორც მუზეუმის რამდენიმე პროექტის სპონსორს, პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს.

გარდა ამისა, თანამშრომელთა საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართვის მიზნით, დავიწყეთ "თანამშრომელთა თანამონაწილეობის პროგრამის" გამხორციელება. 2005 წელს საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე გასვლითი ღონისძიებების კვარტალურ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც პირველი ღონისძიება თანამშრომელთათვის ჩატარდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რომელთანაც BP-ის, როგორც მუზეუმის რამდენიმე პროექტის სპონსორს, პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს.

**საქართველოში BP-ის შესახებ შექმნილი საზოგადოებრივი აზრის კვლევა**

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ჩავატარეთ ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულ ან ჩვენი საქმიანობის გავლენის ქვეშ მყოფ პირთა აზრის კვლევა, რათა უკეთ გაგვეგო ჩვენი კორპორატიული რეპუტაციის შესახებ საქართველოში. BP-სადმი დამოკიდებულების დადგენის მიზნით კვლევა 2005 წელს განვახორციელეთ, რისთვისაც საბაზრო კვლევების გამოცდილების მქონე ქართული კომპანია დავიქირავეთ.

კმაყოფილი დავრჩით იმ ფაქტით, რომ ჩვენ მიერ განხორციელებულ კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა აღნიშნავდა კომპანიის დადებით გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე სამუშაო ადგილების შექმნითა და სოციალური და გარემოსდაცვითი ინვესტირებით. ასეთივე შედეგი გამოავლინა BP-ის კორპორატიული რეპუტაციის კვლევამ, სადაც გამოკითხულებმა დადებითი შეფასება მისცეს BTC პროექტის გავლენას ქვეყნის განვითარებაზე. ამავე დროს, ნათელი გახდა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია ჩვენი სოციალური ინვესტიციებისა და გარემოს დაცვის პროექტების შესახებ საზოგადოების ცოდნის ასამაღლებლად. ამ მიზნით ამჟამად ვახორციელებთ სარეკლამო და სასპონსორო ღონისძიებებს.

# 1.5 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა

**ჩვენ ვცდილობთ, პასუხისმგებლობით ვიმოქმედოთ პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე – ადგილმდებარეობის შესწავლის პირველი დღიდან პროექტის ექსპლოატაციის ფაზის დასრულებასა და აღდგენითი სამუშაოების განხორციელებამდე. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ საქმიანობისას როგორც გარემოს დაცვის, ასევე, სადაც შესაძლებელია, მისი გაუმჯობესების მნიშვნელობას. ვცდილობთ, არა მხოლოდ ზედმიწევნით შევასრულოთ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები, არამედ მაქსიმალურად შევამციროთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი გავლენა გარემოსა და ჯანმრთელობაზე ნარჩენებისა და გამონაბოლქვის შემცირებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი პასუხისმგებლობით მიდგომის გზით.**

საქართველოში ნებისმიერი ასეთი მასშტაბის მქონე პროექტის განხორციელება შეუძლებელია გარკვეული უარყოფითი გავლენის გარეშე. ჩვენ მიერ წარმოებული მშენებლობა და საქართველოში მიმდინარე სხვა სამუშაოები, რა თქმა უნდა, მოქმედებს ბუნებაზე – აზიანებს სხვადასხვა ორგანიზმის საარსებო გარემოს, ქმნის ნარჩენების განადგურების აუცილებლობას. ჩვენ მუდმივად ვაფასებთ, ვმართავთ ამ ზემოქმედებით პროცესებს და ვცდილობთ მათ გამოსწორებას წარმოქმნილი პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტისაკენ მიმართული ღონისძიებებით.

BTC მილსადენი გადის ეკოლოგიურად მგრძნობიარე უბნებზე, სახელდობრ, წალკის, ტაბაწყურისა და ბორჯომის მონაკვეთებში. არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს საკუთარი პოზიცია ამ რეგიონებში გარემოს დაცვის აუცილებლობის თაობაზე. აღნიშნულ უბნებში შემოვიღეთ მილის უსაფრთხოების დამატებითი ტექნიკური გარანტიები, რაც შეამცირებს მესამე მხარის შემთხვევითი ან გამიზნული ქმედების გამო ნავთობის დაღვრის რისკს. განსაკუთრებით მგრძნობიარე უბნებზე გატარდა მილსადენის უსაფრთხოების დამატებითი ზომები მის მახლობლად გათხრის ან მილის მთლიანობის დარღვევის შესაძლო მცდელობების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით. თხრილის დიზაინი და მასში განთავსებული ელექტრონული და ფიზიკური ბარიერები ართულებს და თავიდან გვაშორებს მილსადენის თავზე მიწის თხრას. დაცვის ასეთი სისტემების კომბინაცია, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი ჩარევის ადრეულ აღმოჩენას, მისი ადგილმდებარეობის ზუსტ დადგენას და ართულებს მილსადენთან მიღწევას, საკმარის დროს აძლევს

## საქართველოს ბუნებრივი გარემო

საქართველოს ლანდშაფტი უაღრესად ლამაზი, მდიდარი და მრავალფეროვანია. ქვეყნის 50% მთაგორიანია და განლაგებულია ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე. აქ შეხვდებით როგორც ნაყოფიერ მინდვრებს, ასევე ნახევრად უდაბნოებსა და სუბტროპიკულ სანაპიროებს.

საქართველომ განიცადა სერიოზული ეკოლოგიური დეგრადაცია, რაც გამოიწვია წლების მანძილზე  წარმოებაზე კონტროლის არარსებობამ. მცირე ყურადღება ეთმობოდა ნიადაგისა და წყლის დაბინძურების საკითხებს. წარსულში ბუნებრივი გარემო ზიანდებოდა ცენტრალიზებული დაგეგმარების შედეგადაც. დამოუკიდებლობის მოპოვებას მოჰყვა სტაგნაციის ხანგრძლივი პერიოდი. დღეს აუცილებელია საქართველოს ლანდშაფტის საგულდაგულო მოვლა მის შესანარჩუნებლად და აღსადგენად.

## პრაქტიკული მაგალითი: BTC და SCP – სამშენებლო დერეფნის აღდგენა

BTC მილსადენის მშენებლობის პროცესში ადრეულ ეტაპზევე დაინერგა BP ჯგუფის მიერ შემუშავებული გარემოს დაცვის პრინციპები და ლანდშაფტის აღდგენასთან დაკავშირებული მოთხოვნები. პრინციპები, რომლებიც 2005 წლის განმავლობაში შემუშავდა, პროექტის არსებობის მანძილზე უნდა იქნას გათვალისწინებული. ეს პრინციპები მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ პროცესებსა და მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფს მსოფლიოში აღიარებული გარემოს დაცვის ისეთი მოთხოვნების შესრულებას, როგორიცაა ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა და ტერიტორიის პირვანდელი სახით აღდგენა. რაც შეეხება მილსადენებს, უკვე დასრულებულია BTC ნავთობსადენის მშენებლობა, ხოლო SCP-ის მშენებლობა, რომელიც იმავე დერეფანში ხორციელდება საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საბოლოო ფაზაში შედის. მილსადენის მარშრუტის გასწვრივ საინჟინრო-აღდგენითი და ბიოაღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

მილსადენის დაცვას შეტყობინების მიღებიდან შემთხვევის ადგილზე მისასვლელად.

2003-2004 წელს გამოითქვა შეშფოთება BTC მილსადენის ნაკერებსა და შედუღების უბნების სპეციალურ დამცავ საფარში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. მილსადენი ქარხანაშივე იფარება დამცავი სამშრიანი პოლიეთილენის გარსაცმით, რაც ჟანგისგან დამცავი ბარიერია. ეს გარსაცმი დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოცდილი BTC მილსადენამდე აგებული სხვა მისადენების მშენებლობისას. რაც შეეხება შედუღების ადგილებს (ნაკერებს), ისინი დაცულია ურეთანის მოდიფიცირებული ეპოქსიდის პროდუქტით, რაც აგრეთვე დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოცდილი. საველე პირობებში გამოყენებისას, ხარისხის კონტროლის ინსპექციის დროს გარკვეული დეფექტები გამოვლინდა, რაც განპირობებული იყო აღნიშნული მასალის რეკომენდებულ მინიმალურ ტემპერატურაზე უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში გამოყენებით. მოცემული საკითხი ტექნიკურად მარტივად გადაწყდა მილის დამცავ ფენაზე შედარებით მაღალი ტემპერატურით ზემოქმედების გზით. ხოლო იმ ადგილებში, სადაც ნაკერების დაფარვისას მასალა რეკომენდებულ მინიმალურ ტემპერატურაზე უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში იქნა გამოყენებული, მოხდა დამცავი ნივთიერების თავიდან დატანა. BTC მიიჩნევს, რომ მოცემული საკითხი წარმატებით გადაწყდა. მსგავსი დეფექტები და პრობლემები შემდგომში აღარ გამოვლენილა.

შედუღების დეფექტები – ძალიან მცირე ზომის განივი ბზარები – აღმოჩენილ იქნა საქართველოში მილსადენის იმ მონაკვეთებზე, სადაც ხდებოდა ხელით შედუღება. ეს პრობლემა პირველად რიგითი შემოწმების შედეგად იქნა გამოვლენილი. შემდგომი უფრო დეტალური ინსპექციის შედეგად ასეთი ბზარები გამოვლინდა შედუღების 193 ადგილას. ყველა ეს ნაკერი ამოჭრილ იქნა და ხელახლა შედუღდა. ჩატარდა დამატებითი ლაბორატორიული შემოწმება, რათა გამორიცხულიყო მილსადენის მთლიანობის დარღვევის რისკი. ასეთი დეფექტები მხოლოდ ხელით შედუღების მონაკვეთებზე იქნა გამოვლენილი, რომლებიც შეადგენდა ნაკერების საერთო რაოდენობის 22%-ზე ნაკლებს. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ BTC და SCP მილსადენებზე გამოყენებული მშენებლობის მეთოდები და შემოწმების რეჟიმი მილსადენების მთლიანობას და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

**გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მართვა** ყველა პროექტს აქვს საკუთარი ეკოლოგიური (და სოციალური) მართვის სისტემა, რომელიც არეგულირებს გარემოს დაცვის ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებში შედის ნარჩენების მართვა, დაბინძურების პრევენცია, ბიომრავალფეროვნების და ლანდშაფტის დაცვა, ზომები მიწის დაბინძურების წინააღმდეგ და გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა. მართვის ეს სისტემები უზრუნველყოფს დაგეგმვის, შესრულების, შემოწმებისა და რეაგირების მუდმივად გაუმჯობესებად პროცესებს, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტებში აღწერილ ვალდებულებებთან.

**ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება** ჩვენი საპასუხისმგებლო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი "ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასებებია" (ESIAs).

BTC-ის და SCP-ის ESIAs წარმოადგენს მილსადენების პროექტების მიერ გარემოზე ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების მრავალმხრივ შეფასებებს. ამ შეფასებათა ფარგლებში, პირველ რიგში, განისაზღვრა მშენებლობის დაწყებამდე არსებული მდგომარეობა და მოხდა მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება.

## პრაქტიკული მაგალითი: დაღვრაზე რეაგირების წვრთნები, საქართველო

"წვრთნა წარმატებით ჩატარდა. ნათელი გახდა, რომ BTC-ის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გუნდი ისეთი პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ზომების ეფექტურად მიღების უნარი.

წვრთნის შედეგად მნიშვნელოვანი გამოცდილება იქნა შეძენილი, რაც დაღვრაზე რეაგირების შესაძლებლობების მუდმივი განვითარებისა და დახვეწისათვის ასეთი წვრთნების მნიშვნელობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. BTC-მ აჩვენა, რომ მას სათანადო დონის მართვის სისტემა და აღჭურვილობა გააჩნია საქართველოში ნავთობის დაღვრის შემთხვევებზე რეაგირების მოსახდენად."

Polaris Applied Science Inc.-ის ანგარიში, ინვესტორთა ჯგუფის დამოუკიდებელი კონსულტანტი, 2005 წლის 7 ივნისი.

---

აღნიშნული პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მოსახლეობის იმ ნაწილის საჭიროებებისა და მათ წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენა, რომლებზეც მილსადენის მშენებლობა პირდაპირ გავლენას ახდენს. ESIAs-ის ფარგლებში ჩატარდა ინტენსიური კონსულტაციები და კვლევები, რომლებიც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მოიცავდა მილსადენის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობასთან რეგულარულ შეხვედრებსა და ინტენსიურ ურთიერთობას.

აღსანიშნავია, რომ ESIAs უწყვეტი დიალოგის პროცესის საფუძველია. შეფასებების შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ქართულ, აზერბაიჯანულ, რუსულ და თურქულ ენებზე არა-ტექნიკურ ფორმატში. ანგარიშები განთავსებულია ინტერნეტში (www.bp.com/caspian).

**სასათბურე გაზის ემისია (GHG)** ჩვენი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი GHG ემისიების მართვა კლიმატის ცვლილების პრევენციასა და ეფექტურ მუშაობაზე მიმართული ძალისხმევის განუყოფელი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ მთელი BP ჯგუფის საქმიანობის შედეგად 2005 წლის განმავლობაში წარმოქმნილი GHG ემისიების მოცულობამ 78 მილიონი ტონა $CO_2$-ის ექვივალენტი შეადგინა. საქართველოში ჩვენი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი GHG ემისიების ძირითადი წყარო მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოებია, როგორიცაა ტრანსპორტირება და დატვირთვა. პროექტის ძირითადი კონტრაქტორი მაქსიმალურად ცდილობს, შეამციროს ემისიები მონიტორინგის პროგრამებისა და ტექნიკური ღონისძიებების გატარების გზით.

**ნავთობისა და გაზის გაჟონვაზე რეაგირების ზომები** გაზისა და ნავთობის გაჟონვის პრევენცია ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ნავთობისა და გაზის გაჟონვის რისკის შესაძლო მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მილსადენების მარშრუტის შერჩევის, დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში გატარდა არსებულ ინდუსტრიულ სტანდარტებზე უფრო ქმედითი ღონისძიებები. მილსადენის პროექტი, მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალები და თვით მშენებლობის პროცესი ყველაზე მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდა. გარდა ამისა, განხორციელდა რისკის რაოდენობრივი შეფასება, რათა განსაზღვრულიყო, თუ რამდენად შეესაბამება მილსადენის უსაფრთხოება ევროპაში არსებულ უსაფრთხოების კრიტერიუმებს. ნავთობის დაღვრისათვის მზადყოფნას (თუმცა ასეთი ნაკლებად სავარაუდოა) უზრუნველყოფს სპეციალურად ამ მიზნისათვის დაქირავებული კონტრაქტორი, რომელიც პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების რეგულარული წვრთნების ჩატარებასა და ეფექტური მართვის სისტემის დანერგვაზე. სამ ქვეყანაში, სადაც BTC-ის მილსადენი გადის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების წვრთნა ოთხჯერ ჩატარდა. საქართველოში 2005 წლის განმავლობაში ჩატარებულ წვრთნას საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და პროექტის კრედიტორების დამოუკიდებელი მრჩეველი ესწრებოდა. მრჩევლის მიერ შედგენილ ანგარიშში დადასტურებული იყო, რომ ქვეყანაში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების დაწყებამდე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფები სრულ მზადყოფნაში არიან.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2005 წლის მაისში, როდესაც საქართველოს მთავრობამ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა (OSRP) დაამტკიცა. გეგმა დამტკიცდა გარკვეული პირობებით, რომელთა შესაბამისად გარემოს დაცვის ისეთი დამატებითი ზომები უნდა გატარებულიყო, როგორიცაა ცხრაწყარო-კოდიანას მონაკვეთზე სპეციალური ჩამოსაცლელი რეზერვუარისა და ლოკალიზაციის მეორადი საშუალებების მშენებლობა მდინარეების კალაპოტზე. გეგმის დამტკიცება წარმოადგენდა საქართველოს მთავრობასთან და მის მრჩევლებთან ორწლიანი თანამშრომლობის წარმატებით დაგვირგვინებას. ტექნიკურ საკითხებზე გამართულ შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობდნენ სამეცნიერო წრეების, კრედიტორების, გარემოს დაცვის სამინისტროს, GIOC-ის, BTC-ის წარმომადგენლები და ექსპერტები, კონსულტანტები და მრჩევლები. ამჟამად დამტკიცების იმავე პროცესს გადის SCP-ის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

OSRP-ის საკითხებზე გამართულ ტექნიკურ შეხვედრებსა და სემინარებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა დაბინძურებული ნიადაგის გაწმენდა, ადგილზე წვა, ველურ

ბუნებაზე ზემოქმედების შემთხვევაში რეაგირება და გარემოს მგრძნობელობის შეფასება. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით ჩამოყალიბდა სპეციალური ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა მოძიებული ინფორმაციის ეკოლოგიური მგრძნობელობის ანგარიშში ასახვა.

სამუშაო ჯგუფის მიზნებში შედიოდა აგრეთვე ნავთობის დაღვრის შემთხვევაში რეაგირების მეთოდოლოგიის შემუშავება და პრიორიტეტების განსაზღვრა. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შედეგად გადასინჯულ და განახლებულ იქნა ინფორმაცია მილსადენის გასწვრივ ბუნების მგრძნობელობასთან დაკავშირებით და განხორციელდა ნავთობის დაღვრის შემთხვევაში ყველა მგრძნობიარე უბნის შეფასება. ეს ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელ ჯგუფს დიდ დახმარებას გაუწევს რეაგირებაზე მიმართული ზომების პრიორიტეტულობის განსაზღვრასა და პოტენციური ზიანის მინიმუმამდე დაყვანაში.

**ნარჩენების მართვა** ნარჩენების მართვა ჩვენ წინაშე არსებული ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ამოცანაა, როდესაც საქმე ეხება საქმიანობისადმი პასუხისმგებლობით მიდგომას. საქართველოში ეს ამოცანა უფრო რთულდება იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ნარჩენების მართვისა და გადამუშავების საშუალებები არ პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს.

არასახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა. 2005 წლის განმავლობაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით შევიმუშავეთ ნარჩენების მართვის სტრატეგია. დაგეგმილი გვაქვს არასახიფათო ნარჩენების მართვის მიზნით ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის აშენება, რომელსაც, ჩვენ გარდა, მუნიციპალიტეტებიც გამოიყენებენ. ნაგავსაყრელის აშენებამდე ჩვენს მიზანს ნარჩენების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა და შეძლებისდაგვარად ხელახლა გამოყენება (ხე-ტყე, შლამი) ან მეორადი სარგებლობისთვის გადამუშავება (ქაღალდი, პლასტიკატი, მეტალი, შუშა) წარმოადგენს. 2005 წელს მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების 72,6% ადგილობრივ კომპანიებში გადამუშავდა.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, რომელთაც მიეკუთვნება გამოყენებული ნავთობი, ნავთობით დაბინძურებული ნიადაგი და წყალი, ხდება მათი უსაფრთხო შენახვა იმ დრომდე, სანამ შესაძლებელი გახდება მათი გატანა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის ნაგავსაყრელზე.

**ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია** საქმიანობის პასუხისმგებლობით განხორციელება ბიომრავალფეროვნების დაცვის ვალდებულებასაც გვაკისრებს. WREP-თან დაკავშირებით განხორციელდა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა მცენარეთა კონსერვაციასა და აღდგენას, ფლორის მონიტორინგის კვლევებს, საკომპენსაციო დარგვა-აღდგენას და ლანდშაფტის აღდგენას. გარდა ამისა, ჩატარდა სეზონური გადამფრენი ფრინველების დათვლა და მონიტორინგი.

ბიომრავალფეროვნების დაცვაზე ვზრუნავთ იმითაც, რომ პარტნიორებთან ერთად დავაწესეთ ბიომრავალფეროვნების ყოველწიური კონკურსი. 2005 წელს მეოთხე ასეთი კონკურსი ჩატარდა, რომელიც მანამდე ორგანიზებული სამი კონკურსისას შეძენილ გამოცდილებას ეყრდნობოდა, ხოლო მიზანი იგივე იყო: ბიომრავალფეროვნებაზე რეალური, გაზომვადი და დადებითი ზეგავლენის მოხდენა. კონკურსის მიზანი იყო, გამოევლინა მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი შეგნების ამაღლების ხელშემწყობი საუკეთესო იდეები, რომელთა პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია როგორც მოკლევადიან, ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში.

"ბიომრავალფეროვნების სფეროში ყველაზე საუკეთესო პროექტის" კატეგორიაში 12 პროექტი იყო წარდგენილი, რომლებიც ჯერ შეაფასა მრჩეველთა სამეცნიერო საბჭომ (ტექნიკური შეფასება), ხოლო შემდგომ განიხილა ჟიურიმ BP-ის სტანდარტებსა და პოლიტიკასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. პირველი ჯილდო არასამთავრობო ორგანიზაცია "NACRES"-მა მიიღო პროექტისთვის "საქართველოში ევრაზიული წავის კონსერვაციის კვლევა". ჯილდო 15000 აშშ დოლარი იყო. ორი მეორე და ერთი მესამე ჯილდო ამავე კატეგორიის პროექტებს მიენიჭა.

4 პროექტი იყო წარდგენილი კატეგორიაში "საუკეთესო სტატია და ვიდეომასალა ბიომრავალფეროვნების თემაზე". ოთხივე საგაზეთო სტატიას წარმოადგენდა. ჟიურის გადაწყვეტილებით, არც ერთი არ პასუხობდა სრულად კონკურსით წაყენებულ მოთხოვნებს და ამიტომ არც ერთს არ მიენიჭა პირველი პრემია. მინიჭებულ იქნა ერთი მეორე ჯილდო 500 აშშ დოლარის ოდენობით და ორი მესამე ჯილდო.

**ბიომრავალფეროვნების პრაქტიკული ღონისძიებები: გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა (EIP)**

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) დასაფინანსებლად BTC და SCP პროექტების მიერ 9,3 მილიონი აშშ დოლარი იყო გამოყოფილი, რაც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროექტებისთვის იყო გამიზნული. პროგრამით გათვალისწინებული სახსრებიდან საქართველომ მიიღო 3 მილიონი აშშ დოლარი. 2003 წლის სექტემბერში დაიწყო განხორციელება პროგრამისა, რომელიც ESIA პროცესისა და ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად გამოვლენილ თემებს მოიცავს. დაფინანსდა ხუთი პროექტი:

- "კავკასიური როჭოს კვლევის, მონიტორინგისა და მართვის პროექტი." ძირითადი განმახორციელებელი სააგენტო იყო საქართველოს ველური ბუნების შენარჩუნების ცენტრი. პროექტის მიზანს ენდემური, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების ეფექტური კონსერვაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება იყო. პროექტი 2005 წლის ბოლოს დასრულდა და შედეგად მივიღეთ სახეობების მართვის გეგმა, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა.
- "ეკოსისტემებისა და სახეობების კონსერვაცია საქართველოში: მურა დათვის პროექტი," რომელსაც ახორციელებდა NACRES ("ნოეს კიდობანი გადაშენების გზაზე მყოფი სახეობებისათვის"). პროექტის მიზანია მურა დათვის პოპულაციის აღრიცხვა, საფრთხის შეფასება, საარსებო გარემოს დაკარგვის მიზეზების გამოვლენა და ამ სახეობის კონსერვაციის მიზნით სამოქმედო

გეგმის შემუშავება, ასევე კონსერვაციის ღონისძიებების გატარებაში მოსახლეობის ჩართვა. 2005 წელს განხორციელდა შემდეგი ზომები: საარსებო გარემოს რუკის შექმნა პროექტის ფარგლებში, გეოსაინფორმაციო (GIS) სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, საველე სამუშაოები მურა დათვის გადაადგილების დასადგენად, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება.

- მცირე გრანტების პროგრამა SCP-ის და BTC-ის მარშრუტის გასწვრივ არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის ასამაღლებლად. მოცემულ პროექტს Save the Children ახორციელებს. პროექტის მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის განვითარებაა, რათა მათ უკეთესად შეძლონ გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცოდნისა და შეგნების ამაღლება. მოცემულ პროგრამაში 26 არასამთავრობო ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას იმ 7 რაიონიდან, რომლებსაც კვეთს SCP/BTC მილსადენები. 2005 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩაუტარდათ სწავლება გარემოსდაცვით სფეროში საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში.
- გარემოსდაცვით სფეროში განათლების ხელშეწყობა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია CARE ახორციელებს CIP-ის სკოლების განვითარების პროექტთან ერთად (უფრო დეტალური ინფორმაცია ქვემოთ იქნება მოყვანილი). პროექტის მიზანია, მოაწყოს მოზარდებისთვის გარემოს კონსერვაციის საკითხებზე პრაქტიკული სწავლება, დანერგოს აქტიური სწავლების მეთოდოლოგია და გაუმჯობესოს სასწავლო მასალები. 2005 წელს პროგრამაში მონაწილე სკოლების 170-მა მასწავლებელმა გაიარა სწავლება და ჩამოყალიბდა "ბუნების კლუბები."
- "ეკოლოგიურად მისაღები მესაქონლეობის პროექტი," რომელსაც ასევე CARE ანხორციელებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ 24 სოფელში მესაქონლეობის მდგრად გარემოსდაცვით პრინციპებზე დაფუძნებული მართვის დანერგვა. მიზნობრივი ჯგუფი დაახლოებით 2580 ფერმერისგან შედგება, ეს კი ადგილობრივი ფერმერების დაახლოებით 40%-ია. 2005 წელს მომზადდა და გავრცელდა სასწავლო მასალები და ჩატარდა სწავლება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ჩატარდა ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების ახალი პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და დასაბუთება.

## პრაქტიკული მაგალითი: ნარჩენების მართვა საქართველოში

ნარჩენების მართვისა და გატანის სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შევიძინეთ და დავამონტაჟეთ ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა. ქარხანა ჩამოტანილი იქნა 2003 წელს, მაგრამ იგი ვერ პასუხობდა მოთხოვნილ სტანდარტებს. 2004 წლის განმავლობაში ქარხნის გაუმჯობესებაში ჩადებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების მიუხედავად, არსებული პრობლემები დროულად ვერ აღმოიფხვრა და 2005 წლის იანვარში შეწყდა მისი ექსპლოატაცია.

გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყდა რუსთავის მახლობლად მდებარე იაღლუჯას ნაგავსაყრელის გამოყენება ისეთი არასახიფათო ნარჩენებისათვის, რომლებიც მეორადი სარგებლობის მიზნით გადამუშავებას არ ექვემდებარება (მაგ. საკვები პროდუქტების შემცველი ნარჩენები). ეს ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან ყველაზე ახლოს მდებარე ნაგავსაყრელი იყო და გააჩნდა უსაფრთხო მისასვლელი გზა.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ნაგავსაყრელით საკმაოდ ინტენსიურად სარგებლობენ თბილისი და ახლომდებარე რაიონები, მას (ისევე როგორც საქართველოში არსებულ სხვა ნაგავსაყრელებს) არ გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა ან ევროკავშირის შესაბამისი საოპერაციო სტანდარტები.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად BTC/SCP პარტნიორებმა გამოხატეს მზადყოფნა, დაეფინანსებინათ ნაგავსაყრელის განვითარებასა და მართვის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები. შეთავაზებულ იქნა ნაგავსაყრელის პერსონალისათვის სპეციალური სწავლება. კომპანიამ აღნიშნული წინადადებები წარადგინა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობა იაღლუჯას ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

გარდა ამისა, BP და მისი პარტნიორები ახალი ნაგავსაყრელის დაპროექტებისა და მშენებლობის დაფინანსების წინადადებით გამოვიდნენ, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სტანდარტებთან და გამოყენებულ იქნება როგორც პროექტის, ასევე არასახიფათო ნარჩენების განსათავსებლად. ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა დიდ სარგებლობას მოუტანს საქართველოს მოსახლეობას.

## 1.6 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

**საქართველოს არქეოლოგიური მემკვიდრეობა (აზერბაიჯანისა და თურქეთის არქეოლოგიური მემკვიდრეობის მსგავსად) უნიკალურია მატერიალური და ისტორიული თვალსაზრისით. საქართველოს მთავრობა, საზოგადოება, ჩვენ და ჩვენი პარტნიორები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას. BTC და SCP მილსადენების მარშრუტის გასწვრივ ამ მიზნით განხორციელებული პროგრამის დასაფინანსებლად ჩვენ და პარტნიორებმა დღემდე 2 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დავხარჯეთ.**

არქეოლოგიური მემკვიდრეობით მდიდარ უბნებსა და ისტორიულ ძეგლებზე მილსადენის მშენებლობისა და ექსპლოატაციის შესაძლებელი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად შემუშავდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა, რომლის დაგეგმვა ESIA პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა და მისი მიზანი იყო საქართველოს კანონმდებლობასთან, საერთაშორისო სტანდარტებსა და ხელშეკრულებებთან და კრედიტორი ორგანიზაციების გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობა. პროგრამა კულტურისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შემუშავდა, ვინაიდან სწორედ მათ ევალებათ საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. სამეცნიერო-კვლევით ჯგუფებში ადგილობრივი და უცხოელი არქეოლოგები, ძეგლების სპეციალისტები და კულტურული რესურსების მართვის სპეციალისტები არიან გაერთიანებული. პროექტის ფარგლებში BP-მ დაიქირავა კულტურული მემკვიდრეობის სფეროს სპეციალისტი ამ გეგმის განსახორციელებლად.

გეგმაში ეტაპობრივადაა განსაზღვრული ჩასატარებელი ღონისძიებები, რაც ითვალისწინებს მილსადენის მშენებლობის ფაზებს და მილსადენის დერეფანში არსებული არქეოლოგიური რესურსების თაობაზე ინფორმაციის ეტაპობრივ დაგროვებას. ცაკლეულ ეტაპებზე დადგინდება არქეოლოგიური რესურსები, შეფასდება მათი მნიშვნელობა, შემცირდება მშენებლობასთან დაკავშირებული ზეგავლენა, ჩატარდება მონიტორინგი და შეფასდება გვიანდელ ეტაპზე გამოვლენილი აღმოჩენები. გვიანდელ ეტაპზე გამოვლენილი აღმოჩენების პროტოკოლში აღწერილია მილსადენის მშენებლობისას გაკეთებული აღმოჩენების აღრიცხვისა და დაცვის პროცედურა.

### პრაქტიკული მაგალითი: ტაძრისის წმინდა გიორგის ეკლესიის კონსერვაცია და აღდგენა

BTC მილსადენის დერეფნიდან მოშორებით მდებარე წმინდა გიორგის ეკლესია ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ტაძრისის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზეა. მონასტერი აგებულია 830-900 წლებში. ბოლო დროს იგი მიტოვებული იყო და გაჩანაგების პირას აღმოჩნდა.

2005 წლის მაისიდან ნოემბრამდე ეკლესია გულდასმით გაიწმინდა, გამაგრდა და აღდგა ICOMOS-ის (ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო საბჭო) საქართველოს განყოფილების მიერ, რაც BTC-ის გრანტით დაფინანსდა. ეკლესია გაიწმინდა მცენარეული საფარისა და 500 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაგროვებული მიწისა და ლექისაგან. ამის შემდეგ ყველა ქვა და დეტალი დაწვრილებით აღირიცხა. ეკლესიის კედლების რეკონსტრუქციისას შეძლებისდაგვარად ძველი ქვები იყო გამოყენებული. სამუშაოებში ძირითადად ადგილობრივი მაღალკვალიფიციური ინჟინრები, ქვის მთლელები, მშენებლები, არქეოლოგები და არქიტექტორები იღებდნენ მონაწილეობას.

მოცემული პროექტის დამატებითი სარგებელი იყო ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობების გამყარება, რასაც 2005 წლის შემოდგომაზე სოფლის მოსახლეობის მადლობის გამომხატველი წერილი მოჰყვა. აღდგენილ ეკლესიას მთავრობის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის UNESCO-ს, ექსპერტები, ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები ეწვივნენ. სათანადოდ მოვლილი კულტურული მემკვიდრეობის ეს კერა შეიძლება საქართველოს ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის ნაწილი გახდეს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კულტურული ტურიზმის განვითარებაა.

## 1.7 ჯანდაცვა და უსაფრთხოება

**ჩვენი კომპანია შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობს: არანაირი სამუშაო არ ღირს საფრთხის ფასად. კომპანიის უპირველესი პასუხისმგებლობაა, დაიცვას რთულ გარემოში მომუშავე მრავალრიცხოვანი დაქირავებული პერსონალისა და კონტრაქტორების ჯანმრთელობა. ჩვენი ყველა პროექტი და საქმიანობა უსაფრთხოების მართვის სისტემის გათვალისწინებით სრულდება.**

**ჯანდაცვა** პერსონალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მთელი რიგი იმგვარი ზომები მივიღეთ, როგორიცაა, მაგალითად, დასაქმებამადე წინასწარი სამედიცინო გამოკვლევა, კვების ობიექტებზე ჰიგიენისა და მშენებელთა ბანაკებში წყლის ხარისხის შემოწმება, გასხვისების ზოლში არსებული ჯანდაცვის ობიექტების ინსპექტირება. ჩვენი მიზანია დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვა, მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საფრთხეთა განსაზღვრა და აცილება დაცვის პროგრამებისა და სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია მეზობელ ქვეყნებთან ერთად ქათმის გრიპთან დაკავშირებით მიღებული უსაფრთხოების ზომები.

**უსაფრთხოება** ჩვენი უსაფრთხოების მართვის სისტემა წარმოადგენს სტრატეგიების, პროცედურების, სამუშაო მეთოდებისა და იარაღების ერთიან სისტემას, რომელიც სამუშაოს უსაფრთხოდ განხორციელებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მიმდინარე წელს მრავალი ინიციატივა განხორციელდა. ხელმძღვანელებისთვის ჩატარდა უსაფრთხოების მართვის წვრთნა. წარმატებით შესრულდა უსაფრთხოების წვრთნის პროგრამები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქცევის უსაფრთხოებაზე დაკვირვების პროგრამა, ქცევის უსაფრთხოების ინსპექტირება, კომპანიის უსაფრთხოების ოქროს წესები" და ენერგიის იზოლაცია.

ვმუშაობთ ჩვენს მრავალრიცხოვან თანამშრომელთან და ვუტარებთ წვრთნებს. მრავალი მათგანი ადგილობრივია, რომლისთვისაც უცხოა ამ ტიპის პროექტისათვის აუცილებელი უსაფრთხოების კულტურა, ან კონტრაქტორის თანამშრომელია და უსაფრთხოების მართვის საკითხების მიმართ განსხვავებული მიდგომა გააჩნია. თანამშრომლების მრავალენოვნება და მათი დიდი ნაწილის დასაქმების მოკლევადიანი ხასიათი საკმაოდ ართულებს უსაფრთხოების კულტურის შექმნას. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ, ჩვენი პრინციპები ეფექტურად გადავცეთ, გავაგებინოთ და ავსახოთ ყოველ საქმიანობაში. ჩვენი გამოთვლით, 2005 წლის ბოლოსათვის ჩვენ და ჩვენი კონტრაქტორების მიერ უსაფრთხოების საკითხებში ორგანიზებული წვრთნის კურსი საქართველოში თორმეტი ათასზე მეტმა ადამიანმა გაიარა.

ზემოხსენებული ინიციატივები საჭირო იყო აგრეთვე უსაფრთხოების წესების დაცვის განსამტკიცებლად იმ თანამშრომელთათვის, რომლებიც მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზების მახლობლად მუშაობენ. სპეციალური ტექნიკის უსაფრთხო ექსპლოატაციის წვრთნის კურსი გაიარეს აგრეთვე მილჩამწყობების, ამწეების და სატვირთო მანქანების ოპერატორებმა. ტრენინგები ჩატარდა და სხვა ზომებიც მივიღეთ საქართველოში არსებულ ციცაბო ფერდობებზე მუშაობის განსაკუთრებულ საფრთხესთან დაკავშირებითაც.

ტრენინგები ჩაუტარდა ადგილობრივ სამედიცინო პერსონალსაც რეანიმაციის საკითხებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებზე. ტრენინგები ასევე მოიცავდა ჰიპოთერმიას და სხვა საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია ცივ კლიმატურ პირობებთან, კვების უსაფრთხოებასთან, წყლის ხარისხთან, მშენებელთა ბანაკებში ჰიგიენის დაცვასა და აკრძალული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასთან.

2005 წლის ბოლოსათვის ჩვენ და ჩვენი კონტრაქტორების მიერ უსაფრთხოების საკითხებში ორგანიზებული წვრთნის კურსი საქართველოში თორმეტი ათასზე მეტმა ადამიანმა გაიარა.

**კონტრაქტორის უსაფრთხოება**
მილსადენის მშენებლობა ითვალისწინებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების განსაზღვრასა და გადაჭრას. ტვირთების აწევა, შედუღება და მიწის სამუშაოები ისეთი ყოველდღიური საქმიანობაა, რომელიც უსაფრთხოების თვალსაზრისით კარგად განხორციელებას საჭიროებს. როგორც ეს დიდი ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტებისთვისაა დამახასიათებელი, აუცილებელია მძიმე ტექნიკის ინტენსიური გამოყენება. სამუშაო ხშირად საქართველოს რთული რელიეფის პირობებში, მაღალმთიან ადგილებსა და წყლის ობიექტებთან ახლოს ხორციელდება. 2005 წელს რთულ კლიმატურ პირობებში მუშაობა მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. პროექტების ფარგლებში აუცილებელია უსაფრთხო და ჯანმრთელი საცხოვრებელი პირობების შექმნა, ასევე სათანადო ხარისხის სამედიცინო ობიექტებისა და პერსონალის უზრუნველყოფა იმ მრავალრიცხოვანი მუშახელისათვის, რომლებიც ხშირად შორეულ ადგილებში იმყოფებიან.

ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ჩვენი კონტრაქტორის მიერ სამუშაო უსაფრთხოების დაცვა. 2005 წელს მილსადენის მშენებელ ჩვენს ძირითად კონტრაქტორთან (ერთობლივი საწარმო Spie Petrofac) ერთად უსაფრთხოების სფეროში მთელი რიგი ინიციატივები განვახორციელეთ. აღნიშნული მოიცავდა ტრენინგებს უსაფრთხოების მართვის, ტრანსპორტის უსაფრთხო მართვის, ობიექტებზე მსუბუქი და მძიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმების, მუშახელის სამედიცინო გამოკვლევის, კვების ობიექტების სანიტარული და უსაფრთხოების თვალსაზრისით შემოწმების საკითხებს. კონტრაქტორების ხელმძღვანელობასთან ერთად ვმონაწილეობთ მათი უსაფრთხოების პროგრამების დახვეწაში.

სამუშაოსწინა ინსტრუქტაჟი და რისკის შეფასება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მუდმივი შემადგენელი ნაწილია. ვინაიდან ყველა თანამშრომლის ერთდროულად თავმოყრა ტექნიკურად რთულია, სამუშაოსწინა ინსტრუქტაჟი მილსადენის პროექტის ფარგლებში ინფორმაციის გადაცემისა და წვრთნის მიზანშეწონილი ფორმაა. აღნიშნული ინსტრუქტაჟი ტარდება სამუშაო ობიექტებზე და კონკრეტულ შესასრულებელ სამუშაოზეა კონცენტრირებული. ასეთი საუბრები სისტემატურად ტარდება როგორც მუდმივმოქმედ ობიექტებზე, ასევე მილსადენის მარშრუტის გასწვრივ. 2005 წელს აღნიშნული ინსტრუქტაჟების დროს ყურადღება გამახვილდა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა უკვე მომხდარი შემთხვევის გაანალიზება, მიმდინარე სამუშაოსთან დაკავშირებული სიფრთხილის ზომები, ნარჩენების განცალკევება, იმ მისასვლელი გზების გამოყენება, რომლებით სარგებლობა არ არის ნებადართული, საწვავით გამართვის წესები, ნავთობის დაღვრაზე რეაგირება და ნიადაგის ზედა და ქვედა ფენების განცალკევების მართვა.

**ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვა** 2005 წელს BP ჯგუფმა ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მართვის სტანდარტების დანერგვით ყურადღება გაამახვილა საგზაო და მძღოლების უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე. სტანდარტებში ნათლადაა გაწერილი BP-ის თანამშრომელთა მიერ BP-ის საქმიანობის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვასა და მგზავრობასთან დაკავშირებული წესები და მოთხოვნები. არსებული გათვლებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ-კავკასიური მილსადენის პროექტებთან დაკავშირებით ჩვენი ავტოტრანსპორტის მიერ დღემდე გავლილი საერთო მანძილი უდრის მსოფლიოს გარშემო 1000-ჯერ მოგზაურობას. სტანდარტების შესაბამისად, რთული საგზაო პირობები და მოსალოდნელი საფრთხეები მკაცრი ზომების გატარებას საჭიროებდა.

ავტოტრანსპორტის მართვის გასაუმჯობესებლად განსაკუთრებული ზომები მივიღეთ. მძიმე და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკური მდგომარეობისა და უსაფრთხოების აღჭურვილობის შესამოწმებლად განვახორციელეთ მათი მონიტორინგი და შეფასება. ასევე, ხელახლა შეფასდნენ მძღოლები მათი მოქმედი მართვის მოწმობების შესამოწმებლად. ჩატარდა ინსტრუქტაჟი და შემუშავდა უსაფრთხოების ზომები ავტოტრანსპორტის უსაფრთხოდ მართვის ხელშესაწყობად ზამთრის პირობებში, როდესაც არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო ართულებს თოვლი, ყინული და სიცივეები.

წამოვიწყეთ ინიციატივა პროექტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების დისტანციური ჩამწერი მოწყობილობით აღჭურვასთან დაკავშირებით, რისი მეშვეობითაც მძღოლების ქცევის უფრო დეტალური მონიტორინგი გახდება შესაძლებელი. ეს მოწყობილობა რეალურ დროში აწვდის მძღოლს ინფორმაციას სიჩქარის, დამუხრუჭების, უსაფრთხოების ღვედების გამოყენების და მთელი რიგი სხვა პარამეტრების თაობაზე. ამ ჩამწერების დამონტაჟება BTC/SCP-ის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე BP-ის რეგიონული Helios დაჯილდოების კონკურსზე "სიახლის დანერგვის" კატეგორიაში იყო წარდგენილი. Helios არის შიდა პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს და აჯილდოებს ისეთ შემოქმედებით იდეებს, რომელთა საშუალებითაც ჩვენი საფირმო ღირებულებების პრაქტიკაში დანერგვა ხდება. გარდა ამისა, ჩავატარეთ ინსტრუქტაჟი და მივიღეთ უსაფრთხოების ზომები ზამთარში ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მართვისათვის.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად განხორციელებული ზომები ეფექტურია. BTC/SCP პროექტების საქართველოს მონაკვეთზე "ავტოსაგზაო შემთხვევების საერთო მაჩვენებელი" 2003 წლის შემდეგ თითქმის 90%-ით შემცირდა. 2005 წელს საქართველოში უშუალოდ კომპანიის მიერ დაქირავებულმა და კონტრაქტორის მძღოლებმა უსაფრთხოდ გაიარეს 5,2 მილიონ კილომეტრზე მეტი მანძილი სამუშაოს დღეების გაცდენისა და მათი მგზავრების დაშავების შემთხვევების გარეშე. ჩატარებული გამოკვლევების თანხმად, სამ ქვეყანაში პროექტზე მუშაობის განმავლობაში უსაფრთხოების ღვედებმა და ავტომანქანის ამოყირავებისას დამცავმა საშუალებებმა მგზავრები დაღუპვისაგან 90 ავტოსაგზაო შემთხვევაში გადაარჩინა.

**უსაფრთხოების შესრულების მაჩვენებლები** უსაფრთხოების პროგრამები, რომლებსაც საქართველოში ვახორციელებთ როგორც BP-ში, ასევე კონტრაქტორებთან ერთად, გვეხმარება უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, რომლებიც 2005 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მოხარულები ვართ, რომ უსაფრთხოების სფეროში ჩვენი მაჩვენებლები მუდმივად უმჯობესდება, მაგრამ უბედურ შემთხვევათა ნულამდე დაყვანის მიზანს ვერ მივაღწიეთ. ჩვენდა სამწუხაროდ, 2005 წელს საქართველოში განხორციელებული საქმიანობისას ერთი ადამიანი დაიღუპა. როგორც ყველა სხვა მსგავსი უბედური შემთხვევისას, ეს ფაქტიც გამოძიებულ იქნა გამომწვევი მიზეზის დასადგენად, შესაბამისი დასკვნების გამოსატანად და გასავრცელებლად. მიღებულ იქნა ზომები, რათა მომავალში გამოირიცხოს ასეთი თუ მსგავსი შემთხვევა.

განხორციელებული უსაფრთხოების პროგრამა მიზნად ისახავს საქმიანობის შეძლებისდაგვარად უსაფრთხოდ განხორციელებას. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ უსაფრთხოება ყოველი ადამიანის უპირველესი ამოცანა გახდეს როგორც სამუშაო გარემოში, ასევე მის გარეთ. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტის დაწყებიდან დღემდე 7 წელი შესრულდა, რაც ადგილი არ ჰქონია სამუშაო დღის გაცდენის შემთხვევას (DAFWC). ჩვენი შეფასებით, DAFWC-ის სიხშირის მაჩვენებელი BTC/SCP-ის მილსადენის პროექტებზე ხუთ-ნახევარჯერ უკეთესია, ვიდრე დარგის საშუალო მაჩვენებელი მსგავსი პროექტების შემთხვევაში. დღემდე BTC პროექტზე უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ ტრენინგებს 2,6 მილიონ საათზე მეტი დავუთმეთ, რაც პროექტში მომუშავე ყოველ თანამშრომელზე 96 საათს შეადგენს.

**Safety performance in Georgia**

| | 2004 | 2005 |
|---|---|---|
| **BTC /SCP**[1] | | |
| თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 1 | 1 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე | 0,13 | 0,06 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე | 1,16 | 0,43 |
| ავტოსატრასპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა | 4,52 | 1,42 |
| ნამუშევარი საათები – მუშახელი | 18 119 886 | 13 468 525 |
| გავლილი კილომეტრები | 15 257 792 | 23 204 992 |
| **WREP** | | |
| თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე | 0 | 0 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე | 0 | 0 |
| ავტოსატრასპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა | 0 | 0,3 |
| ნამუშევარი საათები – მუშახელი | 1 230 337 | 675 621 |
| გავლილი კილომეტრები | 2 770 776 | 3 377 535 |
| **სუფსის ტერმინალი** | | |
| თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე | 0 | 0 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე | 0 | 0,57 |
| ავტოსატრასპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა | 0 | 4,96 |
| ნამუშევარი საათები – მუშახელი | 393 288 | 349 352 |
| გავლილი კილომეტრები | 219 397 | 201 475 |
| **Air BP** | | |
| თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე | 0 | 0 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე | 0 | 0 |
| ავტოსატრასპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა | 0 | 0 |
| ნამუშევარი საათები – მუშახელი | 33 033 | 34 342 |
| გავლილი კილომეტრები | 87 806 | 60 880 |

[1] მონაცემები 2004 წლის BP საქართველოს მდგრადი განვითარების ანგარიშში არ მოიცავდა SCP-ის.

## პრაქტიკული მაგალითი: საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება ზამთრის პირობებში

ავტოსაგზაო შემთხვევები კვლავაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხედ როგორც საქართველოში, ასევე BP ჯგუფში, რომლის ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების სტანდარტი ხელს უწყობს მძღოლების ქცევის გაუმჯობესებას, რასაც, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვება უფრო უსაფრთხო მართვა ყველგან, სადაც ვმუშაობთ.

საქართველოში ზამთარში განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის ე.წ. "შავი ყინული" და ექსტრემალური კლიმატური პირობები, განსაკუთრებით ჩვენს რთულ და შორეულ სამუშაო ობიექტებზე. ასეთი პირობები ჩვენს საქმიანობაში მონაწილე ყველა მძღოლს შესაბამის ქცევას ავალდებულებს. ავტოსაგზაო შემთხვევათა შემცირება 2006 წელს უსაფრთხოების სფეროში ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, რომლის მიღწევა ზამთრის პერიოდში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ზამთრის პირობებში ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად შემდეგი ზომები გატარდა:

- პროექტის ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით აღიჭურვა.
- ჩვენმა კონტრაქტორმა მობილიზება გაუკეთა მარილითა და ქვიშის ნარევით დატვირთულ ორ ოთხხიდიან სატვირთო მანქანას, რომლებმაც ეს ნარევი გზებზე დაყარეს თოვლისა და ყინულის პირობებში მოცურების საფრთხის შესამცირებლად.
- მაღალკვალიფიციურმა ინსტრუქტორმა ზამთრისა და უგზოობის პირობებში ავტოტრანსპორტის მართვის წვრთნები ჩაატარა.

## 1.8 დაცვა და ადამიანის უფლებები

**ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა, დავიცვათ საქართველოში მომუშავე ჩვენი თანამშრომლები და საკუთრება. უსაფრთხოების უზრუნველყოფამ შეიძლება, მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე დაგვაყენოს. ეს ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ ვმუშაობთ გარემოში, სადაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები ხდება და რეგიონულ დონეზე გარკვეულწილად არასტაბილური ვითარებაა. გარდა ამისა, საჭიროა სამართალდამცავი სისტემების გაუმჯობესება. პრობლემები იქმნება ისეთი მარტივი და ბანალური გარემოებების გამოც, როგორიცაა ქურდობა. მილსადენის უკანონო გახვრეტა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ჩვენთვის საქართველოში.**

მილსადენის მთელ მარშრუტზე ეფექტური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება სხვადასხვა სტრუქტურის ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს. მილსადენის უსაფრთხოებაზე საქართველოს მთავრობა ისევეა პასუხისმგებელი, როგორც ქვეყნის საზღვრებს შიგნით არსებული ნებისმიერი სხვა სტრატეგიული საკუთრების უსაფრთხოებაზე. 2005 წელს BTC/SCP-ისა და WREP-ის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს (SSPS) ჰქონდა დავალებული. ამავე წელს მომხდარი სამთავრობო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად, BTC/SCP მილსადენების და სუფსის ტერმინალის უსაფრთხოებაზე ახლა უკვე პასუხს აგებს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი (SPPD, ყოფილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური), ხოლო WREP-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია (სუფსის ტერმინალის გამოკლებით) შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების პოლიციას გადაეცა.

აუცილებელია აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. მუდმივმოქმედ ობიექტებზე დაცვის მართვისა და თანამშრომლების უზრუნველყოფის გარდა, ჩვენი დაცვის საველე ოფიცრები მთელი მილსადენის გასწვრივ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მათ ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასა და პოლიციასთან და ტრენინგებს უტარებენ მილსადენის ობიექტებზე გამწესებულ კონტრაქტორის დაცვის თანამშრომლებს.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის უკანონო გახვრეტა კვლავ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მილსადენი 1999 წლიდან მოყოლებული უსაფრთხოდ ფუნქციონირებს და მისი მეშვეობით მსოფლიო ბაზრებზე 295 მილიონი ბარელი ნავთობი გავიდა, ადგილი ჰქონდა ნავთობის მოპარვის შემთხვევებს, მათ შორის, 2005 წელს მილსადენის გახვრეტის 17 მცდელობას, რომელთაგან 10 წარმატებული აღმოჩნდა. ასეთი შემთხვევები სერიოზულ ეკოლოგიურ საფრთხეს ქმნიან, ნავთობის დაღვრის საფრთხის ჩათვლით. 2005 წლის ოქტომბერში ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე უკანონოდ მიერთებული ონკანის გაუმართაობის გამო 446 ბარელი ნავთობი დაიღვარა. ნავთობის დაღვრაზე რეაგირებისა და მილსადენის შეკეთებაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა დაღვრის ლოკალიზება მოახერხა, მილსადენი შეაკეთა და აღნიშნული უბანი ნავთობისაგან გაწმინდა.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მობილური ჯგუფები და სპეციალური დანიშნულების პოლიცია მილსადენებს მთელ სიგრძეზე იცავენ. ვცდილობთ, გავაძლიეროთ მილსადენის უსაფრთხოება იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ თემებთან კარგი ურთიერთობებითა და ორმხრივად სასარგებლო საქმიანობით, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

ამჟამად მთელი რიგი ზომები ხორციელდება, რომელთა მიზანია თანამშრომლებისა და საკუთრების დაცვა. ჩვენი პროექტებისა და ძირითადი ქონების დასაცავად არსებობს შესაბამისი გეგმები და გვყავს მრჩევლები. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მობილური ჯგუფები და სპეციალური დანიშნულების პოლიცია მილსადენებს მთელ სიგრძეზე იცავენ. ვცდილობთ, გავაძლიეროთ მილსადენის უსაფრთხოება იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ თემებთან კარგი ურთიერთობებითა და ორმხრივად სასარგებლო საქმიანობით, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. მაგალითად, მილსადენის გასწვრივ არსებული ჩამკეტი სარქველების დაცვის სამსახური ადგილობრივი მცხოვრებლებითაა დაკომპლექტებული. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების კიდევ ერთი მაგალითია ცხენოსანი პატრული, რომელიც მილსადენის დერეფნის ოპერატიულ მდგომარეობას ამოწმებს.

აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში დანერგვის შედეგად, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტის ზედამხედველობის ფარგლებში იმართება საზოგადოებრივი კონსულტაციები: შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, პოლიციასთან, მიწის მესაკუთრეებთან, მიწით მოსარგებლეებთან, ადგილობრივი საწარმოების ხელმძღვანელებთან, მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისა და სკოლების წარმომადგენლებთან. შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ პატრულების ვაკანსიებზე ადგილობრივი

მოსახლეობის დასაქმებას, რათა ურთიერთობა გვქონდეს მათთან და დავიცვათ ჩვენი ქონების უსაფრთხოება.

**ადამიანის უფლებები** საერთაშორისო ნავთობკომპანიები ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს ბევრჯერ გაუკრიტიკებიათ იმის გამო, რომ ეფექტურ ზომებს ვერ ახორციელებენ ადამიანის უფლებების დარღვევების თავიდან ასაცილებლად იქ, სადაც უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა მასპინძელი ქვეყნის მთავრობას ეკისრება. BP მხარს უჭერს უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ნებაყოფლობით პრინციპებს, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა პოლიციის, უშიშროების ძალების და ენერგოობიექტების ან მილსადენის დაცვის კერძო სამსახურის თანამშრომლების სათანადო წვრთნისა და მკაცრი მონიტორინგის გზით. მოცემულ რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მთელი რიგი ზომები განვახორციელეთ. პროექტის დონეზე ადამიანთა უფლებების დაცვას უფრო ფართო კონტექსტში განვიხილავთ, სადაც სამოქალაქო საზოგადოებისა და რეგიონში სტაბილურობის განმტკიცება ადამიანის უფლებების პატივისცემითა და კანონის უზენაესობითაა შესაძლებელი.

2003 წელს, ჩვენი მხარდაჭერით, მილსადენის მშენებლობაში მონაწილე სამივე ქვეყანამ ხელი მოაწერა ერთობლივ ოქმს, რომელშიც მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისას ადამიანის უფლებების დაცვის უზენაეს პრინციპებთან დაკავშირებული ვალდებულებები აისახა. ოქმის თანახმად ჩამოყალიბებული მილსადენის დაცვის ერთობლივი კომისია შეიკრიბა 2005 წელს. თანამშრომლობისა და გამოცდილების გასაზიარებლად შეკრებაში სამივე ქვეყნის უშიშროების სამსახურების მაღალჩინოსნებმა მიიღეს მონაწილეობა.

2003 წელს BP-მ ხელშეკრულება გააფორმა ჟენევაში დაფუძნებულ არაკომერციულ ორგანიზაციასთან Equity International, რომელიც სამართალდამცავ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწეობს. ზემოხსენებული შეთანხმების ფარგლებში, Equity International-მა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს პრაქტიკული ტრენინგების კურსი ჩაუტარა, რომელიც მიზნად ისახავს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპების დაცვას.

2004 წლის ოქტომბერში BP-მ საქართველოს მთავრობასთან უსაფრთხოების ორმხრივ ოქმს მოაწერა ხელი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების, მონიტორინგისა და ანგარიშგების, დაცვის თანამშრომლების დაქირავებისა და წვრთნის, მხარეებს შორის ურთიერთობისა და კონსულტაციების ჩატარების სტანდარტები და პროცედურები.

იმავე დღეს ხელმოწერილი, დამოუკიდებელი ხელშეკრულებით შევთანხმდით, საქართველოს მთავრობისათვის გადაგვეცა აღჭურვილობა და შენობები უშუალოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დასაცავად. ამ აღჭურვილობის უმეტესი ნაწილი, რომელიც დამცავი ხასიათისაა (სპეციალური ტანსაცმელი, კარვები, ხელსაწყოები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები), 2005 წელს გადავეცით. აღნიშნული ხელშეკრულების დამატებითი ნაწილით გათვალისწინებულია კოდიანას მონაკვეთის დაცვასა და პატრულირებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაცვის თანამშრომელთათვის უსაფრთხოების ბაზის მშენებლობა, რომლის თავდაპირველი პროექტის შემუშავება 2005 წელს დასრულდა და ტენდერის საფუძველზე მშენებლობის ხელშეკრულება დაიდო. ბაზის დაპროექტებისას შემუშავდა ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA).

2005 წელს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს მილსადენის უსაფრთხოების საკითხებში ტრენინგები ჩავუტარეთ, რომლის კურსი ორი ოთხკვირიანი წვრთნისაგან შედგებოდა. სულ 360-მა ადამიანმა გაიარა ტრენინგების ძირითადი კურსი ისეთ საკითხებში, როგორიცაა პატრულირება, იარაღი, კანონის დაცვა ეთიკის ფარგლებში და საერთაშორისო სამართლის პრინციპები. ტრენინგებზე ახლად დაქირავებული თანამშრომლები ადამიანის უფლებების დაცვის ნებაყოფლობით პრინციპებსაც გაეცნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებებსა და ოქმებში ყველა აუცილებელი სტრუქტურაა ჩამოყალიბებული, მაინც ყურადღებით ვადევნებთ თვალს, რომ ადამიანის უფლებები ყველგან სათანადოდ იყოს დაცული. 2005 წელს მოვამზადეთ და გამოვაქვეყნეთ ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს, შესრულდეს BTC და SCP პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულებები პროექტებზე დასაქმებული პერსონალისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის ადამიანისა და შრომის ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. შეფასება ჩაატარეს ამერიკული იურიდიული ფირმის, Foley Hoag LLP-ის კორპორატიული და სოციალური ვალდებულებების სფეროს სპეციალისტებმა.

Foley Hoag-ის დასკვნის თანახმად, მთლიანობაში, პროექტის მიერ "ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები კარგად სრულდება" და "ზოგადად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ-კავკასიური მილსადენის კომპანიების საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში შეესაბამება მოცემული მრეწველობის სფეროში არსებულ მოწინავე პრაქტიკას და ხშირ შემთხვევაში თვითონ ნერგავს ახალ სტანდარტებს." მიუხედავად ამისა, ანალოგიური მასშტაბის პროექტებში ყოველთვის რჩება გასაუმჯობესებელი სფეროები. Foley Hoag-მა მთელი რიგი რეკომენდაციები წარმოადგინა, განსაკუთრებით ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სამუშაო პირობები, ანაზღაურება და დასაქმების საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცედურები. პროექტმა პასუხი გასცა ყველა რეკომენდაციას და ამჟამად მათ განსახორციელებლად სამოქმედო გეგმას ამზადებს.

შეფასების ანგარიშის ძირითადი შინაარსი ქართულ ენაზე და სრული ინგლისური ვერსია იხილეთ პროექტის ვებ-გვერდზე (www.bp.com/caspian).

პროექტის დონეზე ადამიანთა უფლებების დაცვას ჩვენ უფრო ფართო კონტექსტში განვიხილავთ, სადაც სამოქალაქო საზოგადოებისა და რეგიონში სტაბილურობის განმტკიცება ადამიანის უფლებების პატივისცემისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფითაა შესაძლებელი.

# 1.9 ჩვენი თანამშრომლები

**BP თავის თანამშრომლებს ხელს უწყობს დამსახურებული კარიერის შექმნაში, უსახავს საინტერესო ამოცანებს, უქმნის თანაბარ პირობებს და სამუშაო პრაქტიკის შესაძლებლობას. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების მოზიდვა და დაქირავება. ჩვენი მიზანია თანამშრომლების შემოქმედებითი ნიჭის გამოყენება, მათი შესაძლელობისა და უნარის განვითარება, თანამშრომელთა მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება და დამსახურების მიხედვით დაჯილდოება, თითოეული თანამშრომლისათვის ჩვენი მოთხოვნების გასაგებად განმარტება და სხვადასხვა სოციალური ფენის, განათლებისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანთა ჩართვა ჩვენს ორგანიზაციაში, რომელიც ამ ადამიანებს მათი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით აფასებს.**

**BP საქართველოს თანამშრომლების რაოდენობა**




აღნიშნული დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტია იმ ადამიანების მოზიდვა, რომლებიც იზიარებენ ჩვენს მისწრაფებას, ვიყოთ კონკურენტუნარიანები, წარმატებულები და საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასეთი ადამიანების მოზიდვას ჯგუფის ახლად ჩამოყალიბებულ მომგებიან ცენტრებში და ახლად შექმნილ ბაზრებზე. ვცდილობთ, საქართველოში ის დამქირავებელი ვიყოთ, ვისთან მუშაობაც საინტერესოა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და განვავითაროთ ჩვენი თანამშრომლების შესაძლებლობები. ამისთვის ვატარებთ წვრთნის კურსებს, სამუშაო პრაქტიკას უცხოეთში, ვაწყობთ კომპანიის განვითარების დღეებს, სემინარებს და ინტერნეტით სწავლების კურსებს.

**თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლა** ჩვენ მუდმივად ვურთიერთობთ თანამშრომლებთან და ამას ჯგუფური შეხვედრების, ღონისძიებების, შიდა პრესს-რელიზებისა და აზრის კვლევით ვახორციელებთ. 2004 წელს ჩატარებული თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლის ანგარიშში გამოვლინდა მოთხოვნები, რომელთაც უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ. 2005 წელს ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით ვმუშაობდით, კერძოდ – ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამაზე და ჩვენსა და კონტრაქტორის თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გადასინჯვასა და დანვეწაზე. ვმუშაობდით აგრეთვე სახელფასო განაკვეთების შესწავლასა და გადასინჯვაზე.

**ადგილობრივი თანამშრომლების დასაქმება** 2001 წლის შემდეგ თბილისის ოფისსა და რეგიონებში გაიზარდა ჩვენ მიერ დასაქმებულთა – როგორც საქართველოს მოქალაქეების, ასევე უცხოელების – რიცხვი. უცხოელი თანამშრომლები ძირითადად გამოცდილი კადრები არიან, რომელთაც შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვთ და დაქირავებულნი არიან მოკლე, ზოგიერთი კი ხანგრძლივი ვადით. პროექტების ფინალურ ეტაპზე, მილსადენის ექსპლოატაციაში გაშვებისა და საწყისი ოპერაციების განსახორციელებლად სწორედ ასეთი, სათანადო გამოცდილების თანამშრომლები გვჭირდებოდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის სამუშაო მოთხოვნების თანახმად, მშენებლობისა და ექსპლოატაციის ეტაპზე უპირატესობა ადგილობრივი სამუშაო ძალისთვის უნდა მიგვენიჭებინა. აღნიშნულ მოთხოვნებთან შედარებით უფრო მეტი ადგილობრივი პირი დავასაქმეთ. ჩვენი გათვლებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის ეტაპზე 4800-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე იყო დასაქმებული. ეს კი ხელს შეუწყობს კვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტების წარმატებით განსახორციელებლად.

BP საქართველომ იკისრა ვალდებულება თანამშრომელთა განვითარებაზე. საქართველოში ჩვენი საქმიანობის პროექტების ეტაპიდან გრძელვადიანი ექსპლოატაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად ვცდილობთ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი თანამშრომელი დავაწინაურო. 2005 წლის განმავლობაში განვახორციელეთ პროგრამა, რომელიც ხანგრძლივი ვადით დასაქმებულ თანამშრომლებს სათანადო განვითარების საშუალებას მისცემს და შევიმუშავეთ ქართული ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამა (GLDP), ვატარებდით ბრიფინგებს, ტრენინგებს, ვახორციელებდით სამსახურებრივი კარიერისა და თანამშრომელთა ჩანაცვლების დაგეგმვას. განვსაზღვრეთ ის მოვალეობები, რომლებსაც ამჟამად უცხოელი თანამშრომლები ასრულებენ და დავიწყეთ ამ თანამშრომელთა ადგილობრივი კადრებით ჩანაცვლებისა და განვითარების გეგმის შექმნა, რათა BP საქართველოში არსებული გრძელვადიანი თანამდებობები საბოლოოდ საქართველოს მოქალაქეებმა დაიკავონ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია უფრო დეტალური ინფორმაცია საქართველოში ჩვენ მიერ დასაქმებულთა შესახებ.

**წესებთან შესაბამისობა და ეთიკის კოდექსი** 2005 წელს მთელ კომპანიაში მივიღეთ და დავნერგეთ BP-ის ეთიკის კოდექსი, რომელშიც ასახულია BP-ის მორალური ღირებულებები და ერთიან სისტემაში განსაზღვრულია, თუ რას მოელის კომპანია თანამშრომელთაგან. კოდექსში ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას. კოდექსი კოლექტივის ყველა წევრს ავალდებულებს, შესაბამის სამსახურებს მიაწოდოს ინფორმაცია BP-ის წესებისა და ეთიკის ნორმების ისეთი დარღვევის ან შესაძლებელი დარღვევის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, საშიში მოქმედება, თაღლითობა ან ძალადობა, თანამშრომლებს დაურიგდათ ზემოხსენებული კოდექსის ქართული

ვერსია, ამასთან, BP-ის თანამშრომლებს და კონტრაქტორებს კოდექსის დებულებების შესახებ ბრიფინგები ჩაუტარდათ.

**სერთიფიკაცია** 2005 წელს ჩატარდა მორიგი ყოველწლიური სერტიფიკაცია, რომელიც რეგიონში სამართლებრივი, სახელმწიფო და BP-ის ეთიკის ნორმებისა და სტანდარტების შესრულების შესასწავლად ხორციელდება. ეს გულისხმობს ჯგუფურ დისკუსიებს, სადაც განიხილავენ, თუ როგორ იცავს ცალკეული პირი სამართლებრივ, სახელმწიფო და BP-ის ეთიკის სტანდარტებს. სერთიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ როგორც რიგითი თანამშრომლები, ასევე ხელმძღვანელები, როლებიც ხელქვეითთა ქცევას აფასებენ. სერთიფიკაციის ფურცლები წარედგინება გენერალურ მენეჯერს, რომელიც, თავის მხრივ, ხელს აწერს BP საქართველოს თანამშრომელთა სახელით წარდგენილ სერთიფიკატს.

**BP საქართველოს თანამშრომლები**

| | | 2004 | 2005 |
|---|---|---|---|
| BP-ის ადგილობრივი თანამშრომლები | | 228 | 271 |
| კონტრაქტორები (ადგილობრივი) | | 161 | 127 |
| | **სულ:** | **389** | **398** |
| BP-ის უცხოელი თანამშრომლები | | 37 | 38 |
| კონტრაქტორები (უცხოელები) | | 105 | 100 |
| | **სულ:** | **142** | **138** |
| **სულ BP საქართველოს თანამშრომლები** | | **531** | **536** |

**"ცხელი ხაზი"** "ცხელი ხაზი" BP-ის თანამშრომელთა წინაშე წამოჭრილი პრობლემების განხილვის დამოუკიდებელი გლობალური პროგრამაა, რომელიც საშუალებას აძლევს BP-ის ყველა თანამშრომელს, კონფიდენციალურად დასვას შეკითხვები ეთიკის ნორმების დაცვის საკითხებზე. თანამშრომლებს შეუძლიათ, სრული ანონიმურობის დაცვით, ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ "ცხელი ხაზის" სამსახურს მრავალენოვანი სატელეფონო ხაზის, ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან წერილის საშუალებით. წამოჭრილი საკითხები და პრობლემები BP-ის შესაბამისი რეგიონის ომბუდსმენს გადაეცემა, რომელიც საკითხის სათანადო გამოძიების შემდეგ რეაგირებს. თუ ინფორმაცია საფუძვლიანია, მიღებული იქნება შესაბამისი ზომები. თანამშრომლებისათვის კოდექსთან დაკავშირებით რჩევების მიცემისა და მათ მიერ წამოჭრილი დამატებითი საკითხების განხილვის მიზნით 2005 წელს, ეთიკის კოდექსის გამოცემასთან ერთად, გავაფართოვეთ "ცხელი ხაზის" პროგრამაც.

## პრაქტიკული მაგალითი: ქართული ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამა (GLDP)

BP-ის ადგილობრივი კადრების დასაქმების ხელშესაწყობად, 2005 წელს შეიქმნა ქართული ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამა (GLDP), რომლის ძირითადი მიზანია ადგილობრივი თანამშრომლების მომზადება, რათა მათ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მაღალი ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავება შეძლონ. პროგრამა მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, განიხილონ და ისარგებლონ BP ჯგუფის განვითარების პროგრამებით და მოიპოვონ ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება BP საქართველოში. აღნიშნული პროგრამა ის ფორუმია, სადაც ხდება საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ხელმძღვანელის უნარ-ჩვევების განვითარება, რომლის დახმარებითაც იზრდება პიროვნების კვალიფიკაცია და ყალიბდება მომავლის ლიდერი.

პროგრამაში მონაწილეობისთვის 16 თანამშრომელი შეირჩა. დაგეგმილი გვაქვს, პროგრამაში რეგულარულად ჩავრთოთ ახალი თანამშრომლები.

ამჟამად პროგრამაში მონაწილე თანამშრომელთგან ხუთი ქალია. პროგრამის განხორციელების კვალდაკვალ ვეცდებით, გავზარდოთ მონაწილე ქალთა რაოდენობა.

მოცემული ინიციატივა მომავალი ხელმძღვანელების მომზადებას ემსახურება, თუმცა, აუცილებლად მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ პროფესიული განვითარების საშუალება ნებისმიერ თანამშრომელს აქვს.

**ქართული ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამის მონაწილეთა მოსაზრებები და სურვილები** "პირადად მე ეს პროგრამა პროფესიულ ზრდასა და ჩემი ძლიერი თუ სუსტი მხარეების უკეთ გაცნობიერებაში მეხმარება. ვიმედოვნებ, რომ ეს საშუალებას მომცემს, გავცდე ჩემი მოვალეობების საზღვრებს და ვიტვირთო უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები, უფრო აქტიურად ჩავება კომპანიის მიერ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ხელმძღვანელებისა და მენტორების მხარდაჭერა." (ზურაბ თოფურიძე, გარემოს დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი)

"ქართული ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამა ადგილობრივი თანამშრომლებისათვის კარგი საშუალებაა, უკეთ გაეცნონ BP-ის განვითარებას და განსაზღვრონ ის სფეროები, რომლებშიც თავიანთი უნარ-ჩვევები უნდათ, რომ დახვეწონ. **პაატა ჯინჭარაძე, უფროსი მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში.**

"ეს პროგრამა BP-ის მიერ შემოთავაზებული განვითარების საშუალებების გამოყენების საუკეთესო გზაა." **ირინე სამადაშვილი, ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასების (ESIA) კოორდინატორი.**

"დღის წესრიგშია ადგილობრივ კადრებზე დაყრდნობა. ქართული ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამის ეს განაცხადი უაღრესად მნიშვნელოვანია; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც ქართველისთვის. იგი საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ, რომ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეგვიძლია კომპანიის შემდგომი "გაქართულების" საქმეში. **დავით მაღრაძე, მთავრობასთან ურთიერთობების მრჩეველი (სურათზე ზემოთ).**

# 2

BP-ს საქართველოში მოღვაწეობის 10 წლისთავის აღსანიშნავი პიკნიკი კომპანიის თანამშრომლებისა და მათი ოჯახებისათვის.

## ჩვენი როლი საზოგადოებაში


2.1 სოციალური ჭრილი
2.2 კლიმატური ცვლილებები
2.3 ეფექტური მართვის ხელშეწყობა
2.4 ბიზნესის განვითარება
2.5 განათლება
2.6 ხელმისაწვდომი ენერგია
2.7 ჩვენი პროგრამები

## 2.1 სოციალური ჭრილი

**ბოლო წლების განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 52% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ქვეყნის განვითარების ისეთი ხელშემწყობი ორგანიზაციების აზრით, როგორებიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC), ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მდგომარეობის სტაბილურობისა და კერძო ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად.**

გაეროს განვითარების პროგრამის 2005 წლის "ადამიანის განვითარების ანგარიშის" თანახმად, საქართველო ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლის მიხედვით 177 ქვეყანას შორის მე-100 ადგილზე აღმოჩნდა, ანუ გარდამავალ ეტაპზე მყოფ სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ დაბალი ადგილი დაიკავა. გაეროს განვითარების პროგრამის თანახმად, სიღარიბე საქართველოს მოსახლეობის უმთავრესი პრობლემაა, აქედან გამომდინარე, ამას უდიდესი უარყოფითი ზეგავლენა აქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ზრდაზე.

BP და სხვა ორგანიზაციები UNDP-ის და MCC-ის ჩათვლით თავის ძალისხმევას სიღარიბის დაძლევის, დემოკრატიული მართვისა და საქართველოს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისაკენ წარმართავენ. საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნებს მიაღწიოს და UNDP-ის მხარდაჭერით შეიმუშავა "ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა." გარდა ამისა, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან (MCC) გაფორმდა ათასწლეულის გამოწვევის ხელშეკრულება. UNDP და MCC ეთანხმებიან იმ აზრს, რომ წარმოების განვითარება სიღარიბის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. UNDP ახორციელებს ინტეგრირებული დასაქმების შექმნისა და მცირე და საშუალო წარმოების (SME) განვითარების პროგრამას, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესმენების სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება. MCC-ის პროგრამა მიზნად ისახავს რეგიონულ დონეზე წარმოების განვითარებას ინვესტირების, ტექნიკური დახმარებისა და რეგიონების ძირითადი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გზით.

საქართველოში განხორციელებული საქმიანობისას BP-მ იკისრა ვალდებულება, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას. ეს ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკაში ფინანსური და ეკონომიკური წვლილის შეტანის, საქართველოს მთავრობისთვის ტარიფების გადახდის და ადგილობრივი კომპანიებისა და მათი თანამშრომლების დაქირავების გზით. ამავე მიზანს ემსახურება ჩვენი მოსახლეობის განვითარებისა და სოციალური ინვესტირების ინიციატივები.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა საქმიანი ურთიერთობების წარმართვა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის საფუძველზე. ვცდილობთ, რომ ამ ურთიერთობებმა სარგებლობა მოგვიტანოს ჩვენც და იმათაც, ვისთან ერთადაც ვსაქმიანობთ.

BP ჯგუფს კარგად აქვს გააზრებული, რომ სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ერთიანი ძალისხმევა სჭირდება. შესაბამისად, BP ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს შემოსავლების გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ ინიციატივებს და საზოგადოებრივი ინვესტიციების უმეტეს ნაწილს წარმოების განვითარების, განათლების და ენერგიის ხელმისაწვდომობის პროგრამებსა და პროექტებზე მიმართავს. ეს პროგრამები განხილულია ქვემოთ მოყვანილ თავებში.

ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტები ხორციელდება მთელი რიგი ეროვნული და რეგიონული პროგრამების მეშვეობით, რომლებიც უფრო დაწვრილებით არის აღწერილი თავში 2.7. უნდა აღინიშნოს, რომ BP აგრეთვე ხელს უწყობს BTC/SCP-ის მსგავსი მსხვილი კაპიტალური პროექტების განხორციელებას განვითარებად ქვეყნებში, რათა დააფინანსოს ისეთი განვითარებისთვის აუცილებელი დამატებითი კატეგორიები, როგორიცაა, მაგალითად, ჯანდაცვა.

ანგარიშის მოცემულ ნაწილში აღწერილია ჩვენი წვლილი საქართველოს წინაშე მდგარი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაში. დასაწყისში ყურადღება გავამახვილეთ კლიმატურ ცვლილებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკის განვითარება, სოციალური პროგრესი და ადამიანთა კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიუწვდებათ მათ ხელი ენერგიის წყაროებზე. ენერგიის წყაროებზე ხელმისაწვდომობა ჩვენი ჯგუფის სოციალური ინვესტიციების პროგრამების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ჩვენი ინიციატივები და ინვესტიციები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისკენაა მიმართული.

## 2.2 კლიმატური ცვლილებები

**BP, როგორც გლობალური ენერგოჯგუფი, პასუხისმგებელია კლიმატური ცვლილებების საფრთხის თავიდან აცილებაზე. 2005 წელს საფუძველი ჩაეყარა "BP-ის ალტერნატიული ენერგიის" პროგრამას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია 8 მილიარდი აშშ დოლარის დაბანდება 10 წლის განმავლობაში. ეს ხელს შეუწყობს ბაზარს, გადავიდეს ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის ისეთ წყაროებზე, როგორიცაა მზის, ქარის, ბუნებრივი გაზისა და წყალბადის ენერგია. გათვალისწინებულია ასევე უფრო სუფთა ელექტროენერგიის საბითუმო რეალიზაცია.**

2005 წელს "BP-ის ალტერნატიული ენერგიის" პროგრამის დაწყებას წინ უძღოდა კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის ათწლიანი პერიოდი. 1997 წელს საყოველთაოდ აღიარეს BP-ის ძალისხმევა კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით გამაფრთხილებელი ზომების გატარების აუცილებლობის მხარდაჭერაში. 1998 წელს BP-მ აიღო ვალდებულება, შეამციროს საკუთარი ემისიები ატმოსფეროში. 2001 წლისათვის ჩვენი სასათბურე აირების ემისიის მოცულობა 10%-ით ნაკლები იყო 1990-იანი წლების მაჩვენებლებთან შედარებით. ჩვენ კვლავაც ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ სასათბურე აირების შემცირების მაჩვენებლები ჩვენი ენერგოეფექტურობის პროექტებისა და ემისიების შესამცირებლად ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ძიების გზით.

BP აწარმოებს პროდუქციას, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს საკუთარი ემისიების შემცირებაში ეხმარება. კომპანიამ გაზარდა ბუნებრივი აირის წარმოება და მიწოდება, რომელიც ენერგოწარმოების დარგში ტრადიციული ნახშირის ტექნოლოგიის ემისიების მხოლოდ ნახევარს წარმოქმნის. კომპანიამ წამოიწყო მზის ენერგიის ბიზნესი, ააშენა პირველი საკუთარი ქარის ენერგოსადგური და შექმნა ტექნოლოგიები წარმოქმნილი $CO_2$-ის შეგროვებისა და გეოლოგიურად შენახვის მიზნით. ტრანსპორტის სფეროში კომპანიამ შეიმუშავა საწვავისა და საპოხი მასალების ახალი სახეობები, რომლებიც ემისიის შემცირებას უწყობენ ხელს.

BP მხარს უჭერს სასათბურე აირების ემისიის შესამცირებელი ზომების გატარებას, თუმცა მეცნიერების ამ დარგის საკითხთა კვლევა ექსპერტთა შორის ჯერ კიდევ კამათისა და განსჯის საგანია. BP-ს მიაჩნია, რომ მთავარია სასათბურე აირების დონის სტაბილიზაცია ემისიების მდგრადი და გრძელვადიანი შემცირებით. იგი აგრეთვე მხარს უჭერს ამჟამად ფართოდ აღიარებულ აზრს იმის შესახებ, რომ კეთილგონივრული იქნება, თუ დედამიწის ტემპერატურა წარმოებამდელ ტემპერატურას $2^{0}$ C-ზე მეტით არ გადააჭარბებს. აღნიშნულს შეიძლება მივაღწიოთ, თუ 2050 წელს გლობალური ემისიები არ იქნება უფრო მაღალი, ვიდრე იგი დღესაა, ანუ წელიწადში 25 მილიარდი ტონა $CO_2$. BP-ის აზრით, ამის მიღწევა შესაძლებელია კომბინირებული ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის ნამარხი საწვავის $CO_2$-ის შემცირებით, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ავტომანქანების საწვავის ეკონომიას, შენობების ენერგოეფექტურობას და რადიკალურად გაზრდის ქარისა და მზის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობებს. BP თავის როლს ხედავს საკუთარი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში, უფრო სუფთა პროდუქტების შექმნასა და საზოგადოებრივ დისკუსიებში მონაწილეობაში. მაგალითად, BP აქტიურად უჭერს მხარს საბაზრო მექანიზმების გამოყენებას სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკების გადასაყვანად ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიაზე.

### კლიმატური ცვლილებები – ჩვენ მიერ განხორციელებული ზომები

**1997**
BP საჯაროდ ადასტურებს პრევენციული ზომების მიღების აუცილებლობას სასათბურე აირების ემისიის შესამცირებლად

**1998**
დასახულია 2010 წლისათვის ემისიების 10%-ით შემცირება 1990-იან წლებთან შედარებით

**1999**
BP სხვა კომპანიებსა და მთავრობებთან ერთად იწყებს გაფრქვეული $CO_2$-ის შეგროვებისა და შენახვის პროექტს ელექტროსადგურებზე

**2000**
ნახშირბადის შემცირების ინიციატივის დაფინანსება კლიმატური ცვლილებების პრევენციის მიზნით

**2001**
BP-მ 2010 წლისთვის დასახულ სასათბურე აირების ემისიების შემცირების მაჩვენებელს 9 წლით ადრე მიაღწია ენერგოეფექტური პროექტების განხორციელებით

**2002**
ქარის ელექტროსადგურის აშენება ჰოლანდიაში

**2003**
პრინსტონში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე BP-მ შეიმუშავა 50 წელზე გათვლილი სასათბურე აირების ემისიის სტაბილიზაციის ტექნოლოგია

**2004**
მზის ენერგიის ბიზნესი ხდება მომგებიანი. $CO_2$-ის შეგროვებისა და შენახვის პროექტის დაწყება ალჟირის სალაჰის საბადოებში

**2005**
BP-მ გამოაცხადა მსოფლიოში პირველი კომერციული წყალბადის ელექტროსადგურის შესახებ. იწყება ალტერნატიული ენერგიის პროგრამა

## 2.3 ეფექტური მართვის ხელშეწყობა

**ჩვენ კარგად გვესმის, რომ მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ საქართველოს მთავრობას რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლების გამჭვირვალედ მართვაში. მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ კორუფციის საფრთხე და ეკონომიკური პრობლემები განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანწილად ნავთობისგან მიღებული შემოსავლების არამიზნობრივ გამოყენებასთანაა დაკავშირებული.**

შემოსავლების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა მოცემულ რეგიონშიც მნიშვნელოვანი პრობლემაა და ამ ინიციატივას მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები უჭერენ მხარს. აზერბაიჯანი მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) საცდელ პროგრამაში მონაწილეობს, რომლის მიზანია, გააუმჯობესოს ნავთობის, გაზის და სამთო-მოპოვებითი კომპანიების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხების გამჭვირვალობა. საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართა ინიციატივით, შეუერთდეს მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივას მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა სატრანზიტო ქვეყნებისათვის არ არის გათვალისწინებული.

CDAP-მა 2005 წელს დადებითად შეაფასა BTC-ის და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობა და აღნიშნა ის გამჭვირვალე პროცესი, რომლის თანახმადაც ხდება BTC-ის გრანტების პროგრამის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და აღნიშნულთან დაკავშირებით აუდიტის დაწესება.

**საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართა ინიციატივით, შეუერთდეს მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივას მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა არ არის გათვალისწინებული სატრანზიტო ქვეყნებისათვის.**

## 2.4 ბიზნესის განვითარება

**ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული ის როლი, რომელიც შეგვიძლია, შევასრულოთ ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობით, რასაც ადგილობრივ კომპანიებთან თანამშრომლობისა და მათი პროექტების მხარდაჭერით ვახორციელებთ. ეს საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები, გავზარდოთ შესაძლებლობები და დავაბანდოთ ფული უშუალოდ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში. გარდა ამისა, ჩვენც ვიღებთ სარგებელს, რადგან ვამცირებთ ხარჯებს რესურსების ადგილზე შესყიდვისა და მოსახლეობასთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარებით.**

BP საქართველო მნიშვნელოვან თანხებს ურიცხავს ადგილობრივ ქართულ ბიზნესს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია ქართული კომპანიებისთვის 2000-2005 წლების განმავლობაში გადახდილი მთლიანი თანხა, საიდანაც ჩანს, რომ ჯამური ციფრი ყოველწლიურად იზრდება. ამასთან ერთად, ჩვენი ძირითადი კონტრაქტორები შეძლებისდაგვარად იყენებენ ადგილობრივ ქვეკონტრაქტორებს.

ჩვენი ძირითადი საქმიანობის გარდა, საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში ხელს ვუწყობთ წარმოების განვითარების ინიციატივებს. კერძოდ, მეწარმეებსა და მცირე ბიზნესებს ვეხმარებით მიკროკრედიტების აღებაში. საწარმოების განვითარება ერთ-ერთია იმ სამი ძირითადი მიმართულებიდან, რომელსაც ჩვენ რეგიონული განვითარების ინიციატივის პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ (იხ. ნაწილი 2.7).

**ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი თანხები** (მილიონი $)




შენიშვნა:
2000 წელი: საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ (GPC) გადახდილი თანხები
2001 წელი: GPC-ის და BBP-ის მიერ გადახდილი თანხები
2002 და 2003 წლები: და BP-ის მიერ გადახდილი თანხები
2004 და 2005 წლები: GPC-ის, BTC-ის, SCP-ის და BP-ის მიერ გადახდილი თანხები

## 2.5 განათლება

**განათლება ის მნიშვნელოვანი სფეროა, რომლის განვითარებაშიც ჩვენი წვლილის შეტანა შეგვიძლია. განათლების მხარდაჭერა ჯგუფის კორპორატიული პასუხისმგებლობის სქემაში შემავალი ძირითადი საქმიანობაა, რადგანაც იგი გავლენას ახდენს იმ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი მომავლისთვის; ესენია: ენერგია და გარემო, საბაზისო განათლება და ბიზნესის განვითარება.**

CIP-ის მიერ განხორციელებული "გაუმჯობესებული სკოლების პროექტი" (CIP-ISP), რომელიც 2004 წელს დაიწყო, მიზნად ისახავს, მოზარდებს საშუალება მისცეს, უფრო ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მომავალ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

CIP-ISP-ის ხელშეწყობით, 2005 წელს მთელი რიგი პროექტები განხორციელდა, მაგალითად, სკოლების შეკეთება, მასწავლებელთა წვრთნა, განათლების რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება (ახალი ეროვნული მოდელის თანახმად) და საზაფხულო ბანაკები. მოსახლეობის მიერ პირველი პროექტების განხორციელებისას მიღებულმა გამოცდილებამ მეორე ფაზის ინიციატივების დაგეგმვასა და მომზადებაში ადგილობრივი თემების მეტი დამოუკიდებლობა განაპირობა.

ვეხმარებით აგრეთვე მესამე საფეხურის განათლების განვითარებას. ამის მაგალითია ჩვენ მიერ თბილისში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გახსნისთვის 2 მილიონი აშშ დოლარის და სამაგისტრო პროგრამისათვის სამი აკადემიური წლის მანძილზე 1,5 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა, რაც საშუალებას მისცემს ნიჭიერ ქართველ მკვლევარებს, ისწავლონ დიდ ბრიტანეთში.

### პრაქტიკული მაგალითი: "გაუმჯობესებული სკოლების პროექტის" საზაფხულო ბანაკები ბაკურიანსა და წალკაში

2005 წლის ივლისში წალკისა და ბაკურიანის სკოლების მოსწავლეებისთვის მოეწყო ორი საზაფხულო კომპიუტერული ბანაკი, რომლებიც პროგრამის ფარგლებში გარემონტდა. გაუმჯობესებული სკოლების ინიციატივის ფარგლებში თითოეულ სკოლაში მზის ენერგიაზე მომუშავე კომპიუტერებით აღჭურვილი ლაბორატორია შეიქმნა.

სამკვირიანი საზაფხულო ბანაკების მიზანი იყო:

- სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთათვის ჩატარებული კომპიუტერული წვრთნის გაძლიერება და დამატებითი მასალების მიწოდება;
- ინგლისური ენის სწავლების ელემენტარული კურსის ორგანიზება, სადაც მთავარი კომპიუტერული ენის შესწავლა იყო;
- ტრენინგის ჩატარება ლიდერების მოსამზადებლად.

მონაწილეობის მისაღებად მასწავლებლებმა სულ 100 მოსწავლე შეარჩიეს. ბანაკებს ეხმარებოდნენ მოხალისეები, ჯგუფის ხელმძღვანელები, კომპიუტერული სწავლების ინსტრუქტორები და ინგლისური ენის მასწავლებლები.

დილაობით მოსწავლეები ორ სასწავლო ჯგუფად იყოფოდნენ და ყოველდღიურად უტარდებოდათ ფორმალური ინსტრუქციები. მოსწავლეებს შეეძლოთ, კომპიუტერულ ლაბორატორიაში დღის მანძილზე 2 საათი გაეტარებინათ. კომპიუტერული ლაბორატორია ასევე ღია იყო თავისუფალ დროს, რათა მოსწავლეებს ათვისებული მასალა პრაქტიკის საშუალებით განემტკიცებინათ. ნაშუადღევს ჯგუფები ერთიანდებოდნენ სადისკუსიო ჯგუფებად და სიამოვნებით ერთობოდნენ ლაშქრობებითა და ბურთის თამაშით.

## 2.6 ხელმისაწვდომი ენერგია

**მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ენერგიის მნიშვნელოვანი მარაგი არსებობს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაშიც კი შეძლებდა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფლებას, საქართველო ამჟამად მთელი რიგი ენერგეტიკული პრობლემების წინაშე დგას. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა ენერგიის მიღების საიმედობაა, რაც სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ბუნებრივი აირის მიღების თვალსაზრისით ქვეყანა ძირითადად რუსეთზეა დამოკიდებული.**

კასპიის ნავთობის მარაგების ათვისება და სამხრეთ კავკასიური მილსადენის დასრულება მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიღწევებია, რომლებიც საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, თანმხლები ზომების გატარება, კერძოდ კი გაზის სადისტრიბუციო ინფრასტრუქტურის აღდგენა საქართველოს მოსახლეობისთვის ენერგიის მიწოდების გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ენერგიის მიწოდებისა და უსაფრთხოების პრობლემების მოგვარება რეგიონულ პარტნიორებთან თანამშრომლობით საქართველოს მთავრობის  პასუხისმგებლობაა. თუმცა, კარგად გვაქვს გააზრებული ჩვენი როლიც ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც გამოიხატება ტექნიკურ დახმარებაში, კონსულტაციების გაწევასა და საქართველოში ახალი მილსადენების უსაფრთხოდ და ეფექტურად ექსპლოატაციაში.

კარგად გვაქვს გააზრებული ჩვენი როლი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც გამოიხატება ტექნიკურ დახმარებაში, კონსულტაციების გაწევასა და საქართველოში ახალი მილსადენების უსაფრთხოდ და ეფექტურად ექსპლოატაციაში.

### პრაქტიკული მაგალითი: გაზის მიწოდების შესაძლებლობისა და საიმედოობის გაუმჯობესება საქართველოში

ჩვენ მიერ სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტში ჩადებული ინვესტიციების გარდა, რომელიც აზერბაიჯანში მდებარე შაჰ დენიზის საბადოდან საქართველოსა და თურქეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების ახალი წყაროა, BP მონაწილეობს საქართველოში არსებული გაზის მილსადენის ქსელის განახლებაშიც. საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის შეფასების თანახმად, საქართველოს გაზის სისტემიდან გაჟონილი გაზის რაოდენობა ამ სისტემის საშუალებით გატარებული გაზის საერთო რაოდენობის 5%-ია. BP-მ 750000 აშშ დოლარი გამოყო მილსადენის შესასწავლად და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პერსონალის გადასამზადებლად მათ მიერ საბჭოთა პერიოდში აშენებული ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის მიზნით, რომელიც რუსეთიდან სამხრეთისაკენ, საქართველოს ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრამდე გადის. 40 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აღდგენით სამუშაოებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია დააფინანსებს. BP-ის ეს დაფინანსება მრავალეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური ინვესტირების პროგრამის, “რეგიონული განვითარების ინიციატივის” ნაწილია.

# 2.7 ჩვენი პროგრამები

**საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების გარდა, BP და მისი პარტნიორები საქართველოში სოციალური ინვესტირების პროგრამებსაც ახორციელებენ. ჩვენ მიერ წამოწყებული პროგრამები და ინიციატივები სოციალური ინვესტირების სტრატეგიის ძირითადი თემაა. ეს პროგრამებია: "BP-ის ვალდებულებები," BTC/SCP საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა, BTC-ის საგრანტო პროგრამა საქართველოში და რეგიონული განვითარების ინიციატივა.**

**"BP-ის ვალდებულებები"** 2004 წლის ოქტომბერში BP-მ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ინვესტირებისათვის დამატებით 14,5 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო. აღნიშნული პროგრამა "BP-ის ვალდებულების" სახელითაა ცნობილი. ეს თანხები განათლების, ჯანდაცვისა და ენერგეტიკის სფეროებში იხარჯება. 2005 წელს:

- BP-მ 2 მილიონი აშშ დოლარი გამოყო თბილისში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გასახსნელად. სკოლა ასპირანტების მიერ ეკონომიკური მეცნიერების მაღალ დონეზე შესწავლასა და კვლევას შეუწყობს ხელს რეგიონული მასშტაბით. ინსტიტუტს დახმარებას უწევენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობები, მსოფლიო ბანკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორები.
- წარმატებით დასრულდა დიდი ბრიტანეთის სასწავლო სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში ქართველი კურსდამთავრებულების შერჩევის პირველი ეტაპი. პროგრამა ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად ხორციელდება. სტუდენტთა პირველი ათკაციანი ჯგუფი 2005 წლის სექტემბერში გაემგზავრა დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. სტიპენდია გამოყოფილი იყო შემდეგი სფეროებისთვის: საბანკო საქმე (დაზღვევის ჩათვლით), ბიზნესი, მენეჯმენტი, ადამიანის უფლებები, სამართალი, მედია, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, გარემოს დაცვა, საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია. პროგრამის მეორე შესარჩევი ეტაპი 2005 წლის ბოლოს ჩატარდა. გამოვლინდა 8 ფინალისტი, რომლებიც 2006 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში შეუდგებიან სწავლას.
- 2005 წელს BP-მ 3 მილიონი აშშ დოლარი გამოყო ქუთაისის საავადმყოფოს განახლებისა და აღჭურვისთვის.
- ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც BP-მ 0,3 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. EUGBC-ის ძირითადი მიზანია საქართველოში ევროკავშირის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ევროკავშირის მიერ ადგილობრივი პარტნიორების გამოვლენა და ქართული ბიზნესის მხარდაჭერა ევროკავშირში ბაზრის მოძიებისა და ევროკავშირის სტანდარტების ასათვისებლად.

**BTC/SCP საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (CIP)** ბაქო-თბილისი ჯეიჰანი/სამხრეთ კავკასიური მილსადენის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში. პროგრამა შემუშავდა მოსახლეობასთან, დონორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთავრობასთან გამართული კონსულტაციების შედეგად. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მილსადენის გასწვრივ მოსახლე თემების მდგრად სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის საერთო ბიუჯეტი საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტების მშენებლობის ეტაპზე 8 მილიონი აშშ დოლარია.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა მოიცავს ორი სახის საქმიანობას: ინვესტირების პროგრამა (CIP), რომელიც გათვალისწინებულია მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლებისთვის და "გაუმჯობესებული სკოლების პროექტი" (CIP-ISP), რომელიც მილსადენის გასწვრივ მდებარე ქალაქების სკოლების განვითარებას ისახავს მიზნად. პროგრამამ ხელშესახები სარგებელი მოუტანა პროექტში მონაწილე მოსახლეობას და ასევე ნაკლებად ხელშესახები, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი თემების გაძლიერების, მათი ინფორმირებულობის ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით.

CIP და CIP-ISP ორი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის – Mercy Corps-ისა და CARE-ის ხელმძღვანელობით ხორციელდება. მათ დახმარებას უწევს ხუთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, კერძოდ: ფონდი "კონსტანტა" (მიკროსესხები), "ტექნიკური დახმარება საქართველო" (ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია), "ელკანა" (სოფლის მეურნეობა და აგრობიზნესი), საერთაშორისო ფონდი "კურაციო" (ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება) და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი.

**სათემო ინვესტირების ძირითადი კომპონენტებია:**

- სოფლის ინფრასტრუქტურის

## პრაქტიკული მაგალითი: ჯანდაცვის სფეროსთვის გაწეული დახმარება

2005 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში ოფიციალურად გახსნა დასავლეთ საქართველოს რენტგენოქირურგიის სამედიცინო ცენტრი, რომლის რეკონსტრუქცია განხორციელდა BP-ის დახმარებით, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ქუთაისის საავადმყოფოს განვითარებაზე სულ 3 მილიონი აშშ დოლარი იყო გამოყოფილი, რაც, ძირითადად, დიაგნოსტიკური აღჭურვილობის შესყიდვაზე დაიხარჯა. საავადმყოფოსათვის გაწეული დახმარება, რომელიც BP-ის სოციალური ინვესტირების პროგრამის ნაწილია, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღება შეუძლია ზოგადად ქვეყნის მოსახლეობას და არა მხოლოდ მილსადენის გასწვრივ მოსახლე თემებს.

**BP-ის ვალდებულება: თანხების გადარიცხვის ეტაპები** (მილიონი $)

| | სულ | 2004 | 2005 | 2006 | 2007 |
|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომის ისტორიული პარკი | 4,5 | 0,6 | 3,9 | | |
| ქუთაისის საავადმყოფო | 3,0 | | 3,0 | | |
| დიდი ბრიტანეთის სასწავლო სტიპენდიები | 1,5 | | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა | 2,0 | | | 1,0 | 1,0 |
| სკოლების კომპიუტერიზაცია | 2,8 | | | 2,8 | |
| თანამშრომლობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან | 0,4 | | | 0,4 | |
| ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო | 0,3 | | | 0,2 | 0,1 |
| **სულ** | **14,5** | **0,6** | **7,4** | **4,9** | **1,6** |

რეაბილიტაცია: თემებმა განსაზღვრეს მოთხოვნები, შეიმუშავეს გეგმები, შეადგინეს ბიუჯეტები და განრიგები ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების განსახორციელებლად. შესრულდა 112-ზე მეტი პროექტი ისეთ ადგილებში, როგორიცაა სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები და წყალმომარაგების სისტემები. პროექტების სულ მცირე 96%-ში მოსახლეობის წვლილი 25%-ზე მეტი იყო, რაც მინიმალური მოთხოვნაა საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის დახმარების მისაღებად. ეს ხელს უწყობს მოსახლეობაში მესაკუთრეობის გრძნობის ჩამოყალიბებას და საშუალებას აძლევს მათ, განახორციელონ გრძელვადიანი საქმიანობები.

- სოფლის მეურნეობის დარგში გაწეული დახმარება: ინიციატივების მიზანია ფერმების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გადაცემას ამ ტექნოლოგიების მეურნეობებში დემონსტრირებითა და წვრთნების ჩატარებით. 2005 წელს განხორციელებული საქმიანობა მოიცავდა ფერმერთა ახალი ასოციაციების ჩამოყალიბებას, რაც მსხვილი მეურნეობების შექმნას ისახავს მიზნად. 800 ფერმერზე მეტმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგებში ისეთ თემებზე, როგორიცაა: თესლის დახარისხება, პრევენციული ზომები თესლის დაავადებების წინააღმდეგ, ქიმიკატების სწორად გამოყენება და საქონლის საკვების მომზადება.
- დახმარება შემოსავლის გაზრდაში მიკროკრედიტების საშუალებით: მიზნად ისახავს ბიზნესისა და დასაქმების ხელშეწყობას სულ მცირე 14000 მიკროსესხის გაცემით. 2005 წლის ბოლოსთვის გაიცა საშუალოდ 450 აშშ დოლარის ღირებულების 11000-ზე მეტი სესხი. დღემდე გაცემული სესხების საერთო რაოდენობა 4 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.
- ენერგოეფექტურობა: განხორციელებული ღონისძიებები მოიცავდა შენობების ზამთრისათვის მომზადებას და ეკონომიური წვის ღუმელების მოწყობას. აშენდა და დამონტაჟდა ბიო-აირის გადამამუშავებლები.
- სოციალური მომსახურება: ითვალისწინებს სოციალური მომსახურების ქსელის ჩამოყალიბებას მოხუცებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, ექიმებისა და ექთნების გადამზადებას, ტრენინგების ჩატარებას პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებზე. ამ პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდა მოხალისეები სოფლის მოხუცებულებს ეხმარებოდნენ. გარდა ამისა, ექიმები და ექთნები სოფლის მოსახლეობას ადგილზე უწევდნენ სამედიცინო მომსახურებას. ჩატარდა ტრენინგები შიდსის ინფექციაზე, ნარკომანიაზე, ალკოჰოლიზმსა და ქრონიკული დაავადებების პრევენციის საკითხებზე.
- შესაძლებლობების განვითარება: პრობლემების ანალიზის, რესურსების მობილიზებისა და განვითარებითი ინიციატივების განხორციელების მიზნით ჩატარდა ღონისძიებები სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობების ასამაღლებლად. ჩამოყალიბდა თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები (CBOs), რომლებშიც სოფლისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაერთიანდნენ. თემზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს ჩაუტარდათ სემინარები ისეთ საკითხებზე როგორიცაა: ხელმძღვანელობა, ჯგუფური მუშაობა, ორგანიზაციის განვითარება და მართვა.

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საგრანტო პროგრამა საქართველოში** 2004 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა ორი ხელშეკრულება, რომლებიც მანამდე არსებულ ვალდებულებებს ეფუძნებოდა. უსაფრთხოების პროტოკოლით (განხილულია ნაწილში 1.8) განისაზღვრა მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებები საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, განვახორციელეთ და დავაფინანსეთ კოდიანას უსაფრთხოების ბაზის მშენებლობა, უსაფრთხოებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა და SPPD-ის საოპერაციო ხარჯები.

მეორე ხელშეკრულება ეხებოდა საქართველოში საგრანტო პროგრამის განხორციელებას. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, BTC კომპანია საქართველოს მთავრობას გამოუყოფს ორმხრივად შეთანხმებულ გრანტებს სოციალური და ეკონომიკური პროექტების დასაფინანსებლად. პროგრამის მთლიანი დაფინანსება 40 მილიონ აშშ დოლარია და ეს თანხა 2010 წლამდე იქნება გამოყენებული, ხოლო ამის შემდეგ ყოველწლიურად გამოიყოფა 1 მილიონი აშშ დოლარი პროექტის არსებობის მანძილზე. 2004 წელს მთავრობამ მიიღო პირველი საგრანტო დაფინანსება 9 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სიღარიბის დაძლევის (5,5 მილიონი აშშ დოლარი), რეგიონებში პენსიების (2,6 მილიონი აშშ დოლარი) და სტუდენტური ვაუჩერების (0,9 მილიონი აშშ დოლარი) დასაფინანსებლად. ხელშეკრულების თანახმად, მთავრობის მიერ გრანტის ფარგლებში მიღებული ფინანსების მართვა აუდიტს ექვემდებარება.

გრანტების მიზანია მთავრობის მიერ განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების მხარდაჭერა კრიტიკული პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მილსადენიდან მიღებული შემოსავალები მაქსიმალურ დონეს მიაღწევს. 2005 წელს საგრანტო თანხები არ გაცემულა, თუმცა 2006 წელს დაგეგმილია 15 მილიონი აშშ დოლარის გადარიცხვა. ამის შემდეგ 2010 წლამდე ყოველწლიურად გამოიყოფა 4 მილიონი აშშ დოლარი. მოცემული გრანტები გაიცემა დამატებით იმ სოციალურ და სათემო ინვესტირების პროექტებზე, რომლებიც BTC კომპანიის დაფინანსებით უკვე ხორციელდება.

**რეგიონული განვითარების ინიციატივა**
სხვადასხვა პარტნიორის შეხედულებების გათვალისწინებით, BP-მ და მისმა პარტნიორებმა შეიმუშავეს რეგიონული განვითარების ინიციატივა (RDI). ამ ახალი მექანიზმის მიზანია, აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს სოციალური და ეკონომიკური განვითარების საქმეში გრძელვადიანი დახმარება გაუწიოს.

მოცემული მიზნის მისაღწევად

## პრაქტიკული მაგალითი: ბიზნესის დაფინანსება საქართველოში

რეგიონული განვითარების ინიციატივის ფარგლებში აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში მოველით უფრო სრულყოფილ საკრედიტო სისტემებს. ამჟამად ვმუშაობთ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან და მრავალმხრივი განვითარების სხვა სააგენტოებთან. საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ერთად ვეხმარებით პროკრედიტ ბანკს სამი ახალი ფილიალის განახლებაში, აღჭურვასა და პერსონალით უზრუნველყოფაში მილსადენის გასწვრივ მდებარე ქალაქებში, სადაც შეზღუდულია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ახალი ფილიალები ადგილობრივ მიკრო და მცირე საწარმოებს, ასევე სასოფლო-სამეურნეო ბიზნესებს შესთავაზებენ ფინანსების გაზრდილ შესაძლებლობებს.

| ქვეყანა | საპროცენტო განაკვეთი (%) | სესხის დაბრუნების განაკვეთი | განმეორებითი კლიენტები (%) | ქალი კლიენტები (%) |
|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1,5-3,0 თვეში | 99 | 80 | 70 |
| აზერბაიჯანი | 2,5-3,5 თვეში | 98,87 | 70 | 49 |

რეგიონული განვითარების ინიციატივის სტრატეგია მოიცავს:

- ყურადღების გამახვილებას მთელ რეგიონზე;
- ნათლად განსაზღვრული სფეროების განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას ათწლიანი გათვლებით;
- მუშაობას განვითარებით სააგენტოებთან პარტნიორობისა და მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კოორდინაციის გზით;
- უფრო ფართო ფუნქციის შესრულებას, ვიდრე უბრალოდ დაფინანსების წყაროა, და BP–ისა და მისი პარტნიორების გამოცდილებისა და მიდგომების გამოყენებას;
- ინიციატივის შედეგებით სარგებლობას სამივე ქვეყნის მოქალაქეთა სხვადასხვა ფენის მიერ.

2004 წელს ხელი მოეწერა მთელ რიგ მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს და აღებულ იქნა ფინანსური ვალდებულებები რეგიონული განვითარების ინიციატივასთან დაკავშირებით. ჩვენ გამოვყავით 12 მილიონი აშშ დოლარი პროგრამის პირველი ფაზისთვის (6 მილიონი აშშ დოლარი EBRD-სთან, ხოლო 6 მილიონი აშშ დოლარი – IFC-სთან პარტნიორული პროგრამებისთვის). ამასთან, ჩვენ ვთანამშრომლობთ IFC-სა და EBRD-სთან, რათა მოვიძიოთ დამატებითი ფინანსური რესურსები პოტენციური პარტნიორებისგან იმისთვის, რათა IFC-სა და EBRD-სთან არსებულ თითოეულ პარტნიორულ პროგრამაზე გავზარდოთ დაფინანსება 25 მილიონ აშშ დოლარამდე.

ხვადასხვა პარტნიორთან, მათ შორის, მთავრობებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (IFI) და დონორ ორგანიზაციებთან მთელ რეგიონში გამართული კონსულტაციების შემდეგ ჩამოყალიბდა რეგიონული განვითარების ინიციატივის სამი თემა. ეს თემებია:

- ბიზნესის განვითარება – სამუშაო ადგილების შექმნა, ინდივიდუალური მეწარმეების ეკონომიკური წარმადობის გაუმჯობესება და ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა.
- ეფექტური მმართველობა – გამჭვირვალობაზე, შემოსავლების მართვასა და კანონის უზენაესობაზე მიმართული ინიციატივების მხარდაჭერა.
- ენერგიის ხელმისაწვდომობა – ენერგიის უსაფრთხო წყაროების მისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიმართული ინიციატივების მხარდაჭერა.

2005 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული ამ თემების მომცველი პროექტების ჩამოყალიბებისა და განხორციელებისთვის. ეს პროექტებია:

- საცდელი პროექტი, რომლის მიზანია მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ბორჯომსა და ბაკურიანში. პროექტის განხორციელება დაიწყო 2004 წელს და გაგრძელდა 2005-ში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტოს (GTZ) მიერ. ბორჯომში ნარჩენების შეგროვების სისტემა გარდაიქმნა, რათა ეფექტურად მომხდარიყო ნარჩენების შეგროვება; ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურების გასაუმჯობესებლად შესყიდულ იქნა ახალი აღჭურვილობა.
- ბორჯომის რაიონში კერძო სექტორის ბიზნესის განვითარებისთვის BTC პარტნიორებმა გამოყვეს 3,15 მილიონი აშშ დოლარი. ამ პროექტსაც გერმანიის ტექნიკური თამანშრომლობის სააგენტო ახორციელებს. პროექტის მიზანია მცირე მეწარმეებისა და აგრობიზნესის წარმოების, კონკურენტუნარიანობისა და ორგანიზაციული მართვის გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: პროფესიული გადამზადება; მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის, აგრომრეწველობის, წარმოებისა და მომსახურების სფეროების განვითარებაში; ბიზნესის განვითარების სამსახურებისა და მცირე ბიზნესის ასოციაციების შექმნა; ასევე, კავშირებისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება.
- EBRD-თან თანამშრომლობით BTC და SCP პარტნიორები 750000 აშშ დოლარის მოცულობის დაფინანსებას გამოყოფენ საქართველოში პროკრედიტ ბანკის სამი ფილიალის მშენებლობისა და განახლებისათვის თელავში, ნაშურსა და რუსთავში, სადაც საბანკო მომსახურება და სესხების აღების შესაძლებლობა შეზღუდულია. პროკრედიტ ბანკი უზრუნველყოფს მიკრო და მცირე საწარმოების, ასევე სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის დაფინანსებას.
- ხელს ვუწყობთ ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის ძირეული რეაბილიტაციის მოსამზადებელ სამუშაოებს (იხ. პრაქტიკული მაგალითი ნაწილში 2.6). 2005 წელს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან (GGIC) ხელმოწერილი ხელშეკრულებით BP-მ აიღო ვალდებულება, რომ პროექტის მართვის ხელშესაწყობად უზრუნველყოფდა საკონსულტაციო და ტექნიკურ დახმარებას და ხელს შეუწყობდა პროექტის მართვის სისტემების განვითარებას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან გრანტის მიღებამდე. BP-ის საწყის დაფინანსებას 750000 აშშ დოლარის ოდენობით 2006 წლის დასაწყისში დაემატა 400000 აშშ დოლარი, რომელიც BTC, SCP და AGT პარტნიორებმა გამოყვეს.

# შესრულების მაჩვენებლები

| | 2004 | 2005 |
|---|---|---|
| **უსაფრთხოება**[1] | | |
| BP-ის თანამშრომლის დაღუპვა | 0 | 0 |
| BP-ის კონტრაქტორის დაღუპვა | 1 | 1 |
| გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC)[2] - მუშახელი[3] | 12 | 4 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF)[4] – მუშახელი | 0,12 | 0,06 |
| აღრიცხვადი ტრავმები[5] – მუშახელი | 105 | 30 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF)[6] – მუშახელი | 1,06 | 0,41 |
| ავტოსატრანსპორტო შემთხვევები (სულ) | 69 | 35 |
| ავტოსატრანსპორტო შემთხვევები (სულ სიხშირე)[7] | 3,76 | 1,30 |
| ნამუშევარი საათები – მუშახელი | 19 776 554 | 14 527 840 |
| გავლილი კილომეტრები | 18 335 771 | 28 844 882 |
| **გარემოს დაცვა**[8] | | |
| პირდაპირი ნახშირორჟანგი ($CO_2$) (ტონა) | 32 029 | 35 421 |
| არაპირდაპირი ნახშირორჟანგი ($CO_2$) (ტონა) | არ შეესაბამება | არ შეესაბამება |
| პირდაპირი მეთანი ($CH_4$) (ტონა) | 202 | 220 |
| სასათბურე აირი (GHG) (ტონა $CO_2$ ექვივალენტი) | 12 362 | 13,687 |
| აალება (ძიება და მოპოვება) (ტონა) | არ შეესაბამება | არ შეესაბამება |
| გოგირდის ორჟანგი (SOx) (ტონა) | 39 | 44 |
| აზოტის ოქსიდი (NOx) (ტონა) | 589 | 651 |
| არამეთანის ნახშირწყალბადი (NMHC) (ტონა) | 1 834 | 1 990 |
| დაღვრის შემთხვევების რაოდენობა (დანაკარგი მთავარი გამტარიდან) | 1 | 1 |
| დაღვრის მოცულობა (ლიტრი) | 15 | 70 914 |
| დაკარგული პროდუქტის მოცულობა (ლიტრი) | 10 | 0 |
| წყალში ჩაღვრილი ნახშირწყალბადის მთლიანი რაოდეობა (ტონა) | 0,015 | 0 |
| გატანილი საშიში ნარჩენები (ტონა) | 1 307 | 513 |
| **თანამშრომლები** | | |
| BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 531 | 536 |

შენიშვნები:

[1] უსაფრთხოების მაჩვენებელი მოიცავს წინამდებარე ანგარიშში აღწერილ, მთლიანად საქართველოში განხორციელებულ საქმიანოებებს (WREP, სუფსა, BTC, SCP და Air BP).

[2] DAFWC: ტრავმა ან ავადმყოფობა კლასიფიცირდება, როგორც "გაცდენილი სამუშაო დღეები" (DAFWC), თუ თანამშრომელმა ტრავმის ან ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო, ემუშავა რომელიმე დღეს, განურჩევლად იმისა, დაგეგმილი იყო თუ არა მუშაობა, ან თუ ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული წარმომადგენლის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ მუშაკი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე.

[3] BP-ის მუშახელში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.

[4] DAFWCf – მუშახელი: BP-ის მუშახელის მიერ ტრავმის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.

[5] აღრიცხვადი ტრავმა არის ისეთი სახის ტრავმა ან ავადმყოფობა, რომელიც დასრულდა ფატალური შედეგით, გაცდენილი სამუშაო დღით, შეზღუდული მუშაობით, სამუშაოს გადაბარებით, ან პირველადი დახმარების გარდა გაწეული სამედიცინო მომსახურებით.

[6] აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.

[7] ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სრული სიხშირე – ყველა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილის ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სრული რაოდენობა ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

[8] წინამდებარე ცხრილში მოცემული გარემოსდაცვითი მონაცემები მოიცავს WREP-ისა და სუფსის ტერმინალს საქართველოში.

# დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება

**წინამდებარე ანგარიში გადამოწმებულია BP ჯგუფის აუდიტორის, Ernst & Young-ის მიერ. ანგარიშის გადამოწმების უპირველესი მიზანია იმის ნათელყოფა, რომ ტექსტში მოცემული BP-ის მდგრადი საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები, განცხადებები და მონაცემები ფაქტებით არის დადასტურებული. ამ პროცესის მიზანია, რომ ანგარიშის შინაარსის საიმედოობა მესამე, დამოუკიდებელმა მხარემ დაამოწმოს. Ernst & Young-ის მიერ განხორციელებული სამუშაო და მათი დასკვნები იხილეთ ქვემოთ.**

**დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს** BP საქართველოს მდგრადი განვითარების 2005 წლის ანგარიში ("ანგარიში") მომზადდა BP საქართველოს მენეჯმენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოძიებასა და წარმოდგენაზე. BP-ის მენეჯმენტის ინსტრუქციების მიხედვით, ჩვენი მოვალეობაა, ქვემოთ აღწერილი პროცესის შესაბამისად გადავამოწმოთ ანგარიში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მონაცემებსა და საკითხებზე დასკვნების გაკეთების მიზნით.

შემოწმებისას პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ BP p.l.c-ის მენეჯმენტის წინაშე მათთან შეთანხმებული ტექნიკური დავალების (TOR) შესაბამისად. ამრიგად, არ ვიღებთ რაიმე სხვაგვარ პასუხისმგებლობას სხვა პირისა თუ ორგანიზაციის წინაშე. ნებისმიერი მესამე მხარე ამ ანგარიშს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით შეიძლება, დაეყრდნოს.

**როგორ გავაკეთეთ დასკვნები** ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო დაიგეგმა და განხორციელდა საერთაშორისო საბუღალტრო ფედერაციის შემოწმების (გარდა ისტორიული ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და შემოწმებისა) საერთაშორისო სტანდარტის (ISAE3000) შესაბამისად. ჩვენი სამუშაო მოიცავს ანგარიშში მოყვანილი მტკიცებულებებისა და მონაცემების შემოწმებას განსაზღვრულ ფარგლებში.

ანგარიში შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათანადოდ არის თუ არა ანგარიშში ასახული 2005 წელს BP საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიამ, გამოვლინდა თავად BP საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების საკითხების მიმოხილვისას თუ მნიშვნელოვანია შიდა დოკუმენტაციის მიხედვით.
- ანგარიშში მოყვანილი მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაბამისობაშია თუ არა BP-ის მენეჯერების მიერ მიწოდებულ განმარტებებსა და მტკიცებულებებთან.
- ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მდგრადი განვითარების შესახებ შეესაბამება თუ არა სათანადო ბიზნეს დანაყოფის დონეზე აღრიცხულ მონაცემებს.

ჩვენი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად გადავდგით შემდეგი ნაბიჯები:

1. ანგარიშში მოყვანილი განაცხადებების მიზანშეწონილობის შესაფასებლად შევისწავლეთ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები და შიდა დოკუმენტები 2005 წელს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის თაობაზე.
2. შევისწავლეთ BP საქართველოს მიერ ანგარიშში გადმოსაცემი ძირითადი საკითხების შერჩევის პროცესი;
3. შევისწავლეთ ანგარიშში არსებული მონაცემებისა და განცხადებების დასადასტურებლად მიღებული ინფორმაცია და განმარტებები. ანგარიშში ასახული მონაცემების შესახებ დოკუმენტაციის განხილვისას არ შეგვიმოწმებია თავად მონაცემთა შეგროვების, შეჯერებისა და აღრიცხვის პროცესი ქვეყნისა თუ ობიექტების დონეზე.

**შემოწმების დონე** მტკიცებულებების მოპოვების პროცედურები გულისხმობს განსაზღვრული ხასიათის შემოწმებას ჩვენი დასკვნების გამოტანის მიზნით. მტკიცებულებების შეგროვების ჩვენ მიერ განხორციელებული პროცედურები უფრო მცირე მოცულობისაა, ვიდრე სრულფასოვანი აუდიტი (როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური აუდიტი) და, შესაბამისად, ჩატარებული შემოწმებაც უფრო შეზღუდულია.

**ჩვენი დასკვნები** ჩატარებული განხილვის საფუძველზე და ტექნიკური დავალების შესაბამისად, ანგარიშის შესახებ წარმოვადგენთ ჩვენს დასკვნებს, რომელთა გაცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნას ზემოთ მოყვანილი ტექსტი სათაურით "როგორ გავაკეთეთ დასკვნები."

**1. არის თუ არა განხილული ანგარიშში ძირითადი საკითხები?**

მედიის, შიდა დოკუმენტაციისა და BP საქართველოს მიერ ძირითადი საკითხების განსაზღვრის პროცესების მიმოხილვის შემდეგ ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ არის მოხსენებული ანგარიშში.

**2. არის თუ არა BP საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის ამსახველი მონაცემები და განცხადებები დადასტურებული განმარტებებითა თუ მტკიცებულებებით?**

ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე არასწორი განაცხადის არსებობა ანგარიშის იმ მონაცემებსა და მტკიცებულებებში, რომელიც BP-ის მენეჯმენტმა საქართველოს მდგრადი საქმიანობის შესახებ წარმოადგინა.

**ჩვენი დამოუკიდებლობა** აუდიტორთა ჩვენი ჯგუფი შეირჩა გლობალურად, მდგრადობის საკითხზე მომუშავე ქსელიდან, რომელიც მსგავს დავალებებს ასრულებს გაერთიანებულ სამეფოში და საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ბიზნესებისთვის. როგორც BP p.l.c.-ის აუდიტორებს, Ernst & Young-ს მოეთხოვება, დააკმაყოფილოს დამოუკიდებლობის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ინგლისისა და უელსის სერთიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტის (ICAEW) პროფესიული ეთიკის სახელმძღვანელოში. Ernst & Young-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელიც აკმაყოფილებს და ზოგან აღემატება ICAEW-ის მოთხოვნებს, ვრცელდება ფირმაზე, პარტნიორებსა და პროფესიონალ თანამშრომლებზე. აღნიშნული პოლიტიკით, იკრძალება ჩვენს კლიენტებთან ნებისმიერი ისეთი სახის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც შეამცირებს დამოუკიდებლობის დონეს ან შესაძლოა, ამგვარად იქნას განხილული. პარტნიორებსა და პერსონალს მოეთხოვებათ, ყოველწლიურად დაადასტურონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობა ფირმის პოლიტიკასთან.

ჩვენ ყოველწლიურად ვატყობინებთ BP-ს, მოხდა თუ არა ისეთი შემთხვევა, მაგალითად, აკრძალული მომსახურება, რაც ჩვენს დამოუკიდებლობას შეამცირებდა. 2005 წელს ასეთი შემთხვევა ან მომსახურება არ მომხდარა.

ERNST & YOUNG

**Ernst & Young LLP**
აგვისტო, 2006 წელი, ლონდონი

# ტერმინთა განმარტება

| | |
|---|---|
| ACG | აზერი-შირაგი-გუნეშლის საბადოები |
| APLR | მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია |
| Area 72 | აირის გაფილტვრა და ხარჯის გაზომვა, აირის კონდიციონირება (გათბობა), ნაკადის კონტროლი, საქართველოს მაგისტრალურ სისტემასთან მიერთებული გაზსადენის განშტოება, BTC-ის ტურბინებთან მიერთებული საწვავი გაზის განშტოება. |
| Area 80 | აირის გაფილტვრა და აირის ხარჯის გაზომვა, აირის კონდიციონირება (გათბობა), აირის ნაკადის კონტროლი, აირის მიწოდება თურქეთის მაგისტრალურ სისტემაში. |
| BTC | ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი |
| CAO | შესაბამისობის მრჩეველი / ომბუდსმენი |
| CBO | სათემო ორგანიზაცია |
| CDAP | კასპიის განვითარების საკონსულტაციო საბჭო |
| CIP | საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა |
| $CO_2$ | ნახშირორჟანგი |
| CLEE | იურიდიულ და ეკონომიკურ საწარმოთა ცენტრი |
| DAFWC (F) | გაცდენილი სამუშაო დღეები (სიხშირე) |
| EBRD | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი |
| EF | ევრაზიის ფონდი |
| EI | საერთაშორისო სამართლიანობა |
| EIP | გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა |
| ESIA | ეკოლოგიური და სოციალური ზეგავლენის შეფასება |
| EU | ევროკავშირი |
| EUGBC | ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო |
| GGIC | საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია |
| GIOC | საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია |
| GHG | სასათბურე აირი |
| GPC | საქართველოს მილსადენის კომპანია |
| HSSE | ჯანდაცვა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემო |
| ICOMOS | ისტორიული ძეგლებისა და ობიექტების საერთაშორისო საბჭო |
| IFC | საერთაშორსო საფინანსო კორპორაცია |
| IFIs | საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები |
| IRM | დამოუკიდებელი რესურსების მექანიზმი |
| ISP | გაუმჯობესებული სკოლების პროექტი |
| JV | ერთობლივი საწარმო |
| MCC | ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| OSHA | სამუშაო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ადმინისტრაცია |
| OSRP | ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა |
| PMDI | მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა |
| PS | საქაჩი სადგური |
| PRS | წნევის დამწევი სადგური |
| PSG | საქაჩი სადგური საქართველოში |
| RDI | რეგიონული განვითარების ინიციატივა |
| RoW | მილსადენის დერეფანი |
| RUDF | სასოფლო და ურბანული განვითარების ფონდი |
| SCP | სამხრეთ კავკასიური გაზსადენი |
| SIP | სოციალური ინვესტირების პროგრამა |
| SME | მცირე და საშუალო ზომის საწარმო |
| SPPD | მილსადენის დაცვის სტრატეგიული დეპარტამენტი |
| SRAP | სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმა |
| SSPS | სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური |
| UK | გაერთიანებული სამეფო |
| UNDP | გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა |
| WREP | დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი, ცნობილი აგრეთვე ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით. |

# დამატებითი ინფორმაცია

წინამდებარე დოკუმენტი BP-ის ანგარიშგების ნაწილია არაფინანსურ საქმიანობაზე. გასულ წელს BP-მ ჩამოაყალიბა მდგრადი განვითარების ანგარიშის სამი დონე: ჯგუფის ანგარიში, ცალკეული ქვეყნის ანგარიში (როგორიცაა წინამდებარე ანგარიში) და შერჩეული ადგილობრივი ობიექტის ანგარიში.

**ჯგუფური ანგარიში** ჩვენი ჯგუფის ვებ-გვერდზე განთავსებულია სრული ინფორმაცია იმათთვის, ვინც დაინტერესებულია, გაიგოს უფრო მეტი BP-ის მდგრად განვითარებასა და პასუხისმგებლობაზე. ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია დეტალური ინფორმაცია და მონაცემები ჯგუფის მდგრადი მოღვაწეობის შესახებ, მათ შორის BP-ის 2005 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში (www.bp.com/sustainability და www.bp.com).

ინტერნეტში განთავსებულ მთელ რიგ პრაქტიკულ მაგალითებში კონკრეტულად არის ასახული, როგორ ვახორციელებთ ჩვენ მიერ აღებულ ვალდებულებებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ჯანდაცვა, უსაფრთხოება, თანამშრომლები, მრავალფეროვნება, განათლება, კონსერვაცია, BP და განვითარება, საპასუხისმგებლო ოპერაციები, ბიზნესის განვითარება, შემოსავლების მართვა და ბიზნესის ეთიკა. ყოველივე ზემოხსენებული შემოწმებული და დადასტურებულია Ernts & Young-ის მიერ. (www.bp.com/casestudies)

ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია დეტალური გრაფიკული სქემები, რომელთა მეშვეობითაც შეგიძლიათ, გაეცნოთ BP-ის საქმიანობის შესახებ მონაცემებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, უსაფრთხოება და გარემო. ამისთვის შექმნილია მარტივად გამოსაყენებელი და ხელმისაწვდომი ფორმატირების საშუალებები. შესაძლებელია გრაფიკების სურათის სახით შექმნა და მონაცემების ჩამოტვირთვა (www.bp.com/hsechartingtool).

ჩვენი გარემოსდაცვითი რუკის მიზანია, BP-ის ცალკეული ობიექტის შესახებ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდებით უზრუნველყოს უფრო მაღალი გამჭვირვალობა ადგილობრივ დონეზე ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ. აქ მოცემულია ISO სერთიფიკატის მქონე BP-ის ყველა მთავარი საოპერაციო ობიექტის მდებარეობა და აღნიშნულია, თუ რომელი საკითხებია მნიშვნელოვანი თითოეული ობიექტის მართვაში. რუკაზე მოცემული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეგიძლიათ, გაეცნოთ დეტალებს ბიომრავალფეროვნების, ჰაერის ხარისხის (არა-სასათბურე აირი), მტკნარი წყლის გამოყენების, ასევე წყლის ხარისხისა და ნარჩენების შესახებ რეგიონების მიხედვით. აღნიშნული ობიექტების განთავსება ფონურ რუკებზე, სადაც ილუსტრირებულია ეკოლოგიური მდგომარეობა რეგიონში, შესაძლებელს ხდის ობიექტის შესახებ ინფორმაციის გააზრებას ადგილობრივ კონტექსტში, განსაკუთრებით კი ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორიებზე (www.bp.com/hsemappingtool).

**ქვეყნის მდგრადი განვითარების ანგარიში** ჩვენ ვაქვეყნებთ მდგრადი განვითარების ანგარიშებს მთელ რიგ ქვეყნებში. წინამდებარე ანგარიშის მსგავსად, მათი მიზანია ჩვენი ოპერაციებისა და საქმიანობების მრავალფეროვნების ნათლად წარმოჩენა. მათი საშუალებით შეგიძლიათ, განიხილოთ ჩვენი საქმიანობა გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებში კონკრეტულ რეგიონსა თუ ბაზარზე. გამოქვეყნებულთა შორისაა აზერბაიჯანის მდგრადი განვითარების ანგარიშები 2003, 2004 და 2005 წლებისათვის (www.bp.com/countrysustainability reports და www.bp.com/worldwide).

**ცალკეული ობიექტების შემოწმებული ანგარიშები** ჩვენს ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია 60-ზე მეტი ცალკეული ობიექტის შემოწმებული ანგარიში, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია ჯანდაცვის, უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გვჯერა, რომ ცალკეული ობიექტის დამოუკიდებლად შემოწმებული ანგარიშები უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ადგილობრივ დონეზე (www.bp.com/sitereports).

**გამოსვლები კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ** ჩვენი ჯგუფის ვებ-გვერდზე ვაქვეყნებთ მთელ რიგ გამოსვლებს, რომელთა უმრავლესობა ეხება მდგრად განვითარებასა და პასუხისმგებლობას. 2005 წელს გამოქვეყნდა სიტყვები, წარმოთქმული ენერგოუსაფრთხოების, ენერგიის განვითარებისა და უსაფრთხოების, კლიმატური ცვლილების, ტექნოლოგიური წარმატების, ბიზნესისა და გარემოს დაცვის შესახებ (www.bp.com/speeches).

# საკონტაქტო დეტალები და შენიშვნები

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი გამოხმაურება. შეგიძლიათ, მოგვწეროთ კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა განყოფილებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ან დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მისამართზე bpgeosust@bp.com.

BP საქართველო, 0177, თბილისი, საბურთალოს ქ. 38

## დიზაინი და ბეჭდვა

დიზაინი და ტექსტის აწყობა: Steed Design, გაერთიანებული სამეფო, SS9 1QX, ესექსი, ლი-ონ-სი, დოლიშ დრაივი №44
ბეჭდვა: CPD, გაერთიანებული სამეფო, SS6 7UT, ესექსი, რეილი, ბრუქ როუდი №17

ფოტოგრაფია: საიმონ კრეიტენი, დევიდ შეფერდი, ბარი ჰალტონი, ბენ გიბსონი, ბრაიან კასიო.

## საგამომცემლო შენიშვნა

ქაღალდი
წინამდებარე მდგრადი განვითარების ანგარიში დაბეჭდილია Robert Horne ჯგუფის მიერ მოწოდებულ Revive Uncoated-ზე, რომელიც 100 პროცენტით დამზადებულია მეორადი მოხმარების, გადამუშავებული ბოჭკოსაგან და წარმოებულია მთლიანად ქარის ენერგიის ხარჯზე. წარმოების ამ ტექნოლოგიას მინიჭებული აქვს გარემოს დაცვის ISO 14001 სერთიფიკატი. ქაღალდი დამუშავდა ელემენტარული თავისუფალი ქლორის (ECF) პროცესით.